# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატ. ჟურნალი

ფასი 25 კაპ. | დეკემბრის 28 | 1924 წ. № 20 (23)


ქართულ სახიობას წარსულიდან



ს. სვიმონიძე (გოგოლაშვილი)
არსენა (ალ. ყაზბეგისა)
(გარდაცვალებიდან სამი წლის შესრულების გამო)

## ჩვენი მხატვრები



თოიძენი კავკასიონის მთებზე 1924 წ. ზაფხულში.

**ირაკლი:** მამა, დავიღალე, ველარ მოვდივარ, ქარია!

**მოსე:** მალე მივალთ, შვილო, ცოტა დაგვრჩა—სულ რვა ცხრა მთა-ღა გვაქვს გადასავლელი.

(მეგობრული შარჟი ალ. ციმაკურიძისა).

## შინაარსი:


**სახელმძღვანელო:**

**მეთაური:** ა) ერთი ხუთმეტეული; ბ) ხალხურ სიმღერებისთვის;

**ის. ვარაზაშვილი**—საქმე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს;

**თეატრი:**

**მარმარელი**—ეროვნული თეატრისათვის;

**კუნსილვა**—თეატრი და სოფლის გლეხობა;

**ის.**—მოლაპარაკე კინო-ფილმა და თეატრის ბედი;

**ევ. ნოზაძე**—პროვინციის თეატრი;

**სათეატრო მიმოხილვა**—რეცენზიები;

**მეჩუქურთმეობა და მოზაიკა:**

**ზ. ჰიჰინაძე**—ქართულ ჩუქურთმისა და მოზაიკის ისტორიიდან;

**სიტყვა კაზმული, პოეზია:**

**გიშერა**—ვაჰრები;

**კ. რატიშვილი**—ჰიმნი რემოლიუციას;

**ა. ახნაზარუი**—ნაწყვეტი (ლერმანტოვისა);

**ეთიმ-გურჯი**—⁂ ლექსი.

**ბიოგრაფია, დახასიათება და მოგონებანი:**

ვ. ბ.—ხალხური მწერალი ეთიმ-გურჯი;

ვ. **ძიძიგური**—დაბა სოფლის მოღვაწენი: ექ. პ. ი. ჩხიკვიშვილი;

**სოფ. მგალობლიშვილი**—ჩემი თავგადასავალი;

კ. **თავართქილაძე**—როგორ დაიკრძალა ეგ. ნინოშვილი;

**მუშა ნიკო ასლამაზიშვილი**—დავიწყებული პოეტის საფლავი;

**მწიგნობრობა:**

პ. **მირიანიშვილის** ახალი სამუსიკო პიესები;

**სად რა კეთდება, ვინ რას აკეთებს?**

მეთვალყურე—ქ. თელავის მუშათა კლუბი;


---

# მიიღება 1925 წლის ხელის მოწერა

### სამხატვრო-სათეატრო-სახელოვნო სურათებიან ჟურნალი

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

**1910 წ.** **XV** წელიწადი გამოცემისა **XV** **1925 წ.**

## სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებლობით და საუკეთესო თანამშრომელთა მონაწილეობით

## იუმორისტულ განყოფილებით

**„თეატრი და ცხოვრება“-ს წლიური ხელისმომწერნი მიიღებენ:** ყოველკვირა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს, სულ 52 №-ს წლის განმავლობაში, ხოლო ყოველ სამ თვეში ერთჯერ **უფასო პრემიას—წელიწადში ოთხ წიგნს „ცხოვრების სარკე“.** რომელშიაც დაბეჭდილი იქნება **სარეპერტუარო კლასიკური და თანამედროვე რჩეული პიესები.**

**ვისაც ჰსურს მომავალ 1925 წ. განმავლობაში** ჟურ. „**თეატრი და ცხოვრება**“ და პრემია „**ცხოვრების სარკე**“ მიიღოს, იანვრის გასვლამდე **უნდა მოაწეროს ხელი,** რათა ვიცოდეთ რამდენი წიგნი გამოვცეთ,—საპრემიო კრებული მხოლოდ ხელისმომწერთათვის დაიბეჭდება:

## „ცხოვრების სარკე“ ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.

**„თეატრი და ცხოვრება“** გაგზავნით, ოთხივე დამატებით, ღირება წლიურად—**10 მან.**, **ხელის მოსაწერი** ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს—3 მ., აპრილის 1-ისთვის—2 მ., მკათათვის 1-სთვის 2 მან., ოქტომბრისთვის 1-ისთვის—3 მან., თითო № 25 კ. **ხელის მოწერა მიიღება** რედაქციაში (ტფილისი, სასახლის ქ. № 5, მეორე სართული,—შესავალი—ძველი ქართული თეატრის—(ახალი კლუბის) მხრივ. მისამართი ფოსტით: ტფილისი, სასახლის ქ. № 5, რედ. „თეატრი და ცხოვრება“—იოსებ იმედაშვილს. რედაქცია ღიაა: დილით 9—3 ს., ნაშუადღევს 5—7 ს.


**პასუხისმგებელი ხელმძღვანელი: სარედაქციო კოლეგია.**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

1910—1924

# თეატრი და ცხოვრება

წელიწადი XIV

№ 20 (23)

ფასი 25 კაპ.

„თეატრი და ცხოვრება“
ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი.
რედაქციის მისამართი: ყოფ. ქართული თეატრი—სახალხო სახლის ქ. № 5, „ახალ კლუბი“ს ეზოში.
ფოსტით: ტფილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“, იოსებ იმედაშვილს.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. | დეკემბრის 28 | გამოცემა 1924 წ.

## ერთი ხუთმეტეული

ჩვენი ჟურნალის არსებობის ერთი ხუთმეტეული წელი ამ ნომრით ბოლოვდება.

ხუთმეტი წლის განმავლობაში ბევრი ვაი-ვაგლახი გადაგვხდა, მაგრამ მაინც დღემდე მოვაღწიეთ.

რა იყო ჩვენი ჟურნალის მიზანი?

ამას ყველა იცნობს, ვისაც ჩვენის ჟურნალის ერთი ნომერი მაინც გადაუფურცლავს.

ჩვენი მრწამსი, ჩვენი მოქმედების ძირითადი დებულება იყო საერთოდ ხელოვნების და კერძოდ ჩვენი თეატრის—უმთავრესად ხალხურ და დაბა-სოფლის თეატრების—სამსახური, ხელოვნების ცხოვრებასთან დაკავშირება, მშრომელი ხალხის ხელოვნებით გათვითცნობიერება.

როგორ ვასრულებდით ამას, მკითხველმა იცის.

ჩვენი სასცენო ხელოვნება თითქმის ყველგან ძლიერ მოიკოჭლებდა. ჯერ დღეს რა არის, დღეს, როდესაც ჩვენში გაჩნდა თეატრის მრავალსახეობა, რომ ამ ათი-ხუთმეტი წლის წინად რა ყოფილიყო.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ყოველთვის მაღლა გვეჭირა ხელოვნების წმინდა ალამი და მისით მშრომელი ხალხის გულსა და სულს ნეტარი მომავლისაკენ მივუთითებდით.

ამ ხუთმეტი წლის განმავლობაში არა ერთი და ორი ნიჭიერი მწერალი გამოზარდა ჩვენმა ჟურნალმა, არა ერთს და ორსა ასეულს გაუღვია გულში ხელოვნების სიყვარულის ცეცხლი და თვითგანვითარების უნარი, არა ერთი და ორი ათასეული მდაბიო მკითხველი შესძინა სამშობლო მწიგნობრობას.

ვქმენით, რაც შეგვეძლო. ამ ჩვენი დიდი საქმის და წმინდა მიზნის განხორციელებაში გვეხმარებოდა ერთის მხრივ მკითხველი, მეორეს მხრივ უანგარო თანამშრომელი და მესამეს მხრივ ფართე საზოგადოება, ნივთიერი წვლილით.

ჩვენ იმედი გვაქვს, მომავალშიაც ასევე იქნება.

ვიცით, ჯერ კიდევ მძიმეა ჩვენი მომავალი სამუშაო, მაგრამ საქმის სიყვარული ყოველივე დაბრკოლებას გვაძლევინებს.

და ჩვენ გვწამს, მთელი მშრომელი ხალხი, ვისაც რამედ უღირს მშობლიური ხელოვნება, მარადის ჩვენთან იქნება. ჩვენ გვწამს, რომ თანამშრომელნი ჩვეულებრივი უანგარობით და მკითხველნი ჩვეული სიყვარულით კვლავ ზურგს გაგვიმაგრებენ და მუშაობის ხალისს გაგვიორკეცებენ.

## ხალხური სიმღერებისთვის

ოც-ოცდაათ წელიწადზე მეტია ხალხურ სიმღერების შეკრება-გადაღებისთვის ლაპარაკია. თითოოროლამ დაიწყო კიდეც შეკრება-ჩაწერვა. მაგრამ ყოველივე ამას ან შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ან შემოსავლის აღების სურვილი. მართალია ამ საქმეს ჰყავდენ იდეურად გატაცებულნი პირნიც (მაგ. ლადო აღნიაშვილი, ფ. ქორიძე, ი. რატილი, ნ. სულხანიშვილი, კავსაძენი, ჩავლეიშვილი, ძუკუ ლოლუა და სხვ.), მაგრამ მათ გატაცებულ მუშაობასაც ხვავი ვერ დაედგა ჩვენი საზოგადოების გულცივობის მიზეზით.

ძუკუ ლოლუამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძლიერ დიდი საქმე განიზრახა: კონფერენციის მოწვევა ამ საშვილიშვილო საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ ესეც ძუკუს განუხორციელებელ ოცნებათ ჩაჰყვა სამარეს.

ამ ჟამად ჯერ კიდევ გვყავნან ნამდვილი ხალ-

ხური მომღერლები, მაგრამ ჩვენი დაუდევრობით ლამის მათი ხმაც, სიმღერის კილოც, სამუდამოთ დაეკარგოს ჩვენს შთამომავლობას.

სხვა თუ არა, ნუ თუ ის მაინც ვერ უნდა შევიძლოთ, გრამოფონის ფირფიტებზე გადავიღოთ მარო თარხნიშვილის გუნდის რჩეული სიმღერები, თვით მაროს, კიწი გეგეჭკორის, კავსაძეთა, ჩავლეიშვილის გუნდების, გურიის და კახელ სხვადასხვა მომღერლის სიმღერები?! ამ მომღერლებში ჯერ კიდევ ბევრი, ჩვენი ზნე-ჩვეულების დამახასიათებელი, სიმღერაა დაცული, რომელთა გადაღება-ჩაწერვა ჩვენს ახლად აღორძინებულს საოპერო დარგს დაუფასებელ სამსახურს გაუწევს.

ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოებას განუზრახავს ეს საქმე, მაგრამ განზრახვა ერთია, შესრულება მეორე.

საჭიროა ამ საგანს დაუყონებლივ მიექცეს სათანადო ყურადღება: ძუკუს ოცნება უეჭველად უნდა განხორციელდეს, — მთელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დარჩენილ ძველ მომღერალთა სიმღერები გადვიღოთ ადგილობრივ და არა გამოწვევით, დამშვიდებულ პირობებში, მიუდგომლად, საქმის სიყვარულით და არა ანგარებით.

ამას დაყოვნება არ გამოადგება.

# ვაჭრები

ძმაო, ნისია რა სინდისია,
ნაღდზე ვივაჭროთ, წესი ისეა.

ფიდო ტაბატაძე და სოსე დათუნაშვილი კარგი მეზობლები და კარგი მეგობრებიც იყვნენ. ღხინსა და ჭირში ერთიმეორეს გვერდში უდგნენ, გულით დანდობილნი იყვნენ ერთმანეთზე და სამუშაო იქნებოდა, თუ რაიმე მოსაგები საქმე, უერთმანეთოდ ხელს არ მოჰკიდებდნენ და ნაშოვნ-ნაარვარს ძმურად იყოფდნენ.

ერთი სიტყვით, კარგი ბიჭები იყვნენ: სოფელიც კარგი თვალით უყურებდა და ესენიც სოფელს უკან არაფერში არ ჩამორჩებოდნენ ხოლმე.

ფიდო და სოსე დღეობებშიაც ერთად დადიოდნენ და ბევრჯერ კარგი დროც გაუტარებიათ. მცხეთობაზედაც ყოფილან, გორიჯვრობაც რამდენჯერმე უნახავთ.

თვით მათი სოფელი მარიობას დღესასწაულობდა და ყოველწლივ ბორჯომის ხეობის სოფლებიდან მოაწყდებოდა ხოლმე ხალხი სალოცავად, სალხენად და დროს გასატარებლად.

მთელი სოფელი, ქალი თუ კაცი ამ დღისათვის ემზადებოდა და მორთულ-მოკაზმული, მხიარული გამოეფინებოდა დღეობაზე.

იყო მხიარულება, ცეკვა, თამაში, სიმღერა და ქეიფი დაუსრულებელი.

თუმცა ამ მიდამოში ღვინო არ მოსდიოდათ, ვენახი არა ჰხარობდა, მაგრამ მედუქნე წამალა თავის დროზე გააჩენდა ხოლმე ღვინოს სოფლის დღეობაზე და ხალხსაც ქეიფი ულვინოდ მშრალზე არ უხდებოდა.

ფიდო და სოსე სოფლის რჩეულ ბიჭებში ერიენ ყოველთვის. სიმღერა კარგი იცოდნენ და დროს გატარებაც. ღვინოსაც კარგად მიირთმევდნენ. მედუქნე წამალა მათთვის იმ დღეებში ღმერთი იყო, რადგან თუ წამალა არა, ვინ მოუტანდა საქეიფოდ ლალისფერ ხიდისთაურ ღვინოებს!

გაიარა დრომ, ხანმა. არა ერთი და ორი მარიობა გადაიხადეს ფიდომ და სოსემ და თანდათან გონებაში ჩავარდნენ.

მიხვდნენ, რომ ხიდისთავიდან ღვინის მოტანას არც ისე დიდი ბიჭობა უნდა, რომ ღვინის კოლოტიდან ჩამოსხმას და გაყიდვას არც ისე დიდი ჭკუა უნდა.

ჩაუფიქრდნენ ბიჭები ამ საქმეს. რაც დრო მიდიოდა, უფრო და უფრო უჯდებოდათ იგი ჭკუაში და ერთხელ, როდესაც მარიობა მოახლოვებული იყო, ფიდომ უთხრა სოსეს:

— ბიჭო! ი ჩვენი წამალა რომ გაბერილა და დუქანი გულია, მართლა დიდი ვინმე ხომ არა გგონია. რაა, შვილოსა, ჭკუით გვჯობია თუ ბიჭობითა? იმდენ ფულს რომ იგებს, რითვინ უნდა მოიგოს? განა ჩვენ კი არ შეგვიძლია, ბიჭო მოვიტანოთ ღვინოები და გავყიდოთ? ჩვენ კი არ შეგვიძლია ფული მოვიგოთ? რითვინ უნდა წაიღოს წამალამა? ჩვენზე უფრო უპრიანი არ იქნება!? ჰო და, რას იტყვი, ჰა?

— რა უნდა ვთქვა! მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა. ჩვენ წავიდეთ ხიდისთავსა და ჩვენი წამალა მშრალზე დავსოთ. აი დედასა! რა სეირი იქნება! უფრო კარგ ღვინოსაც მოვიტანთ და უფრო იეფადაც გავყიდით. წავიდეს მერე წამალა და ჩეჩოს მატყლი! ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა.

ითათბირეს და გადასწყვიტეს.

მეორე დღეს ალიონზე ფიდო და სოსე ურემზე ისხდნენ, ზედ ცარიელი, მოზრდილი კოლოტა ჰქონდათ და კარგი საგზალი, ჯიბეში საჭირო ფული, ხოლო ფიდოს ქამარზე ერთი ქისტის ყურიანი კრუჟკა ეკიდა.

მიდიოდნენ ბიჭები და ტკბილად ოცნებობდნენ. აი, უკვე დღეობა არის. ხალხი აუარებელი მოსულა. ყველა მხიარულობს და დროს ატარებს. ფიდოს ურემს ჭიანჭველასავით ახვევია ხალხი და ღვინოს თხოულობს. ფიდოც უსხავს და ასმევს ღვინოს. სოსე კი ფულსა ჰკრეფს. ორივე ოფლში იწურებიან, ხალხს ველარ ასდიან.

ჯერ კიდევ კარგად არ შეღამებულა, და მათი კოლოტი, ოდესღაც ძალიან გაბერილი და ამაყი, ეხლა საცოდავად გაბრტყელებული გდია. სოსეს კი ჯიბე—უბე ფულითა აქვს სავსე. ითვლის და ველარ დაუთვლია-იმდენია.. სიხარულით თავბრუ ეხვევათ და ჯიბეებს მაგრა უჭერენ ხელს—მოგებული ფული არ დაგვეფანტოსო..

წამალოს კი ქვიქვირი ჩამოვარდნია და გაცოფებული დათვივით რაღაცას ბურდღუნებს: ალბად იგინება.

ფითომ გულიანად გადიხარხარა.

— აი დედასა! რა ოინი იქნება! აი თუ როგორ გაჭკვირდებათ ჩვენ ბიჭებსა: ე რა ჭკუიანი ვინმე ყოფილხართ, საიდან მოიგონეთო!..

ხიდისთავში ისე ჩავიდნენ, რომ გზა არც კი შეუმჩნევიათ,—ისე იყვნენ გართულნი ამ ოცნებით.

გაიარ-გამოიარეს, ღვინოები დაათვალიერეს, ნახეს ქაშნიკები და რომელიც კარგი ღვინო იყო, იყიდეს.

გაავსეს ლამაზად კოლოტი, დაუდეს ურემზე, ზედ თივა გადააფარეს, საიდანაც კოლოტს ოთხი თათი სასაცილოდ ამოეყო, თითონ კი მასპინძელთან მარანში ჩამოსხდენ და, ცოტა რომ მაღარიჩი გადაჰკრეს, ლამაზად შეზარხოშდენ.

დაღამებულს დაუსხდენ ბიჭები ურემს და კამეჩებმა ზლაზვნით გამოსწიეს თავის სოფლისაკენ.

დილას ერთ წყაროსთან ჩამოხტნენ, პირი გაიგრილეს და საუზმეს შეექცნენ, თან მუსაიფობდნენ.

— ბიჭო სოსე,—უთხრა ფიდომ,—კარგი ახლა, ე ღვინო ხომ მიგვაქვს. ჰო და მივიტანთ, რაღა თქმა უნდა. მერე და, ბიჭო, როგორ უნდა გავყიდოთ?

— იი, ეგ აღარ იცი!?—უთხრა სოსემ,—რა დიდი ამბავი მაგას უნდა, შვილოსა! ჩამოვუსხამ ჩარექსა და ჩამოვათვლევინებ აბაზსა, მორჩა და გათავდა, აჰა!

— ეი, შე სულელო, მერე ხომ ყველას ჩარექა არ ენდომება. აი რომ გითხრას ვინმემ ერთი დამალევინეო, რას იზამ!

— რას ვიზამ? აი ე კრუჟკა აგერ არა მაქვს, ჩამოუსხამ, გადაკავრევინებ და შაურს ჩავიჩხრიალებ.

— ჰოო, აი გიშველა ღმერთმა! ე კარგათ მოიგონე: ვისაც უნდა, ჩარექით მივცემთ, ვისაც უნდა კრუშკით დავალევინებთ,—მორჩა და გათავდა. კარგი... აი გიდი, რამდენი კრუშკა გამოვა ამ ტიკში და! მერე და იმდენი შაურები სად უნდა წავიღოთ? ჰაი ჰაი, რა ფული იქნება, რა ფული. აი თუ გულზე გასკდება წიმალოი!

ფიდომ სიამაყით გადაჰხედა კოლოტს და საუზმით შენაყრებულს, ცოტა არ იყოს, სალერღელი აეშალა და ამხანაგს ჰკითხა:

— კარგი ახლა. ე ღვინო ხო გასაყიდათ გვინდა, არა?

— ჰოო დე, უპასუხა სოსემ.

— მერე და ჩვენთვის სულ ერთი არ არის, ვისაც მივყიდით?

— სუ ერთია, მაშა.

— ეხლა რო ვინმე მოვიდეს და გითხრას—ღვინო ჩამომისხიო, ჩამოუსხამ?

— ბიჭო, რატომ არ ჩამოვუსხამ, ფულის საქმე არ არის! უთხრა სოსემ და მხრები აიჩეჩა.

— სოსე, მე რო გითხრა ჩამომისხი და ფულს მოგცემთქო, არ ჩამომისხამ?

— რატო არა, შვილოსა, ფულის საქმე არ არის!

— მაშ იცი რა გითხრა, სოსე: აი, ძმაო, ერთი შაურიანი მაქვს. ამას მოგცემ და ერთი კრუშკა ჩამომისხი. რაც მოხდეს, მოხდეს.

— ბიჭო და, რა უნდა მოხდეს?! ფულის საქმე არ არის!

სოსემ გამოართვა ფიდოს შაურიანი, კოლოტს თითი გაუხსნა და სავსე კრუშკა ფიდოს გაუწოდა.

ფიდომ ღვინო ლაზათიანად გადაჰკრა და თან დააყოლა;

— იიფ, შენი ღმერთისა! ე რა კარგი იყო! აი აგაშენა ღმერთმა!

— შენც აგაშენა,—უპასუხა სოსემ და თავის თავი მედუქნედ წარმოიდგინა.

ფიდა რომ სახელოთი ტუჩებს იწმენდდა, სოსეს პირში ნერწყვი ადგა და ღრძილებში ჟრუანტელი უვლიდა: ერთი კრუშკა ღვინო მისთვისაც კარგი იყო.

ის შაურიანი ეხლა სოსეს ჯიბეში იყო. მას ფული ჰქონდა. მაშასადამე, შე ძლო ღვ ნო ეყიდნა.

ცოტა ხანს შემდეგ სოსე ფიდოს აეტუზა წინ და კისერმოღრეჯით იუბნებოდა:

— ბიჭო! მამყიდე, შვილოსა ერთი კრუშკა ღვინო, რა იქნება!

— რა უნდა იქნეს? ფულის საქმე არ არის! მაიტა ფული და ჩამოგისხამ.

ეხლა ფიდო დაეპატრონა კოლოტს. ჩაიგდო ჯიბეში შაურიანი და სოსეს ერთი კრუშკა ღვინო გადააკვრევინა.

გაუდგნენ გზას.

ცოტა ხნის შემდეგ ფიდოს ისევ მოუნდა ღვინო. მისცა სოსეს შაურიანი და კიდევ გადაჰკრა.

მერე სოსემ იყიდა ამ შაურით და გადაჰკრა.

და ასე გააჩაღეს ბიჭებმა ვაჭრობა გზაზევე.

აქნამდის თუ ერთმანეთს როგორღაც ერიდებოდნენ და ერთი მეორეს სთხოვდა—ღვინო მომყიდეო, ეხლა უკვე გათამამდნენ და ვისაც შაური ჩაუვარდებოდა ხელში, მეორეს მიაძახებდა:

— აბა, ჩამომისხი შვილოსა. ფულს გაძლევ, ფულის საქმე არ არის?..

და ასე შეექცეოდნენ.

კამეჩები კი ზლაზნით მიაგორებდნენ ურემს ხაშურისაკენ.

ჩქარა ბიჭები შეზარხოშდნენ, ქეიფზე მოვიდნენ, სიმღერა შემოსძახეს და გამხიარულდნენ. თან ღვინის სმას მოუხშირეს.

კოლოტს კი თანდათან ეფუაებოდა ღიპი და ტყაპალი დაიწყო.

მაგრამ ჩვენს ვაჭრებს ეს არ აღონებდათ, რადგან ღვინოს ნ ღდზე ჰყიდდ ნ და თავნიდან რა ეკარგებოდათ?!

ხაშური რომ გაიარეს, კოლოტი უკვე ძალზე დაწეული იყო.

ფიდო და სოსე კი მხიარულად, მაღალი ხმით გასძახოდნენ;

„მეტივემ ტივი აუშვა,
ჩიბუხს დაატანა ძალა;
მეტი ემ ტივი დარიყა,
მებოლოვეს დააბრალა!..

ქვიშხეთის ბოლო რომ გაიარეს და ბორჯომის ხეობას შეუდგნენ, ფიდომ კოლოტს გადახედა და რომ დაინახა იგი გაბრტყელებული და თათებ-ჩამოყრილი, მთვრალი სიცილით გადასძახა ამხანაგს:

— ბიჭო, სოსე! კაცო, ე ღვინო სუ გზაზევე გავყიდეთ, კოლოტში აღარაფერია და დღეობაში რაღა ჯანაბა უნდა მივიტანოთ?!

— ეე, რას დაეძებ! ჩვენ ხომ გავყიდეთ ღვინო და სულ ერთი არ არის! იქ კიდევ ვიქეიფებთ. ფული ხო ოხრათა გვაქვს და!

— მერე და ხომ შენა გაქვს, ბიჭო ფული, რაც ვივაჭრეთ?

— მეე?—არა. აი ეს ერთი შაური მაქვს. ფული, ძმაო შენ უნდა გქონდეს.

— ფიდომ მთვრალი თვალები დააშტერა და ცოტა არ იყოს ფერმა გადაჰკრა.

— არა, ძმაო, მე სუ არაფერი არა მაქვს.

— ერი ჰა! მა რა იქნა იმოდენა ფული, კაცო? ამდენი ღვინო გავყიდეთ და ფული სად ჯანდაბაში წავიდა!—გულმოსულად სთქვა სოსემ.

— აბა მე რა ვიცი.

— როგორ თუ რა იცი! ბიჭო, ნისიად ხო არავისთვის მიგვიცია ღვინო?

— არა.

— ხო სულ ნაღდზე გავყიდეთ?

— მართალია.

— მერე და ფული რა იქნა?

— აბა მე რა ვიცი.

სოსე შეფიქრიანდა. ამ ამბავმა თითქოს გამოაფხიზლა, ღვინო გამოჰყარა და უკვე დარდით და შიშით სავსე კილოთი ეკითხებოდა ფიდოს:

— კაცო, თუ ღმერთი გწამს, მართალს ამბობ, რომ ფული არა გაქვს?

— ჩემმა მზემ მართალს ვამბობ,—უთხრა ფიდომ და ჯიბეები გადმოიბრუნა.

— ე რა მოგვივიდა, ბიჭო! არც ღვინო გვაქვს და აღარც ფული. აი დასწყევლა ღმერთმა! ეშმაკმა ხომ არა გვავნორა. კაცო მუქთად არავისთვის მიგვიცია, ნისიად არ გაგვიცია, ე ოხერი სუ ნაღდზე გავყიდეთ და ე ფული რა იქნა?..

ეკითხებოდა სოსე განცვიფრებისაგან გაშტერებულ ფიდოს და შიშითა და გაკვირვებით სავსე თვალებით მისჩერებოდა მას. .

ვერც კანბეჩებმა გაიგეს, თუ რა მოუვიდა ფულს და წყნარად მიაბიჯებდნენ გზატკეცილზე. **გიშერა.**

# ეროვნულ თეატრისთვის

II.

დღევანდელი ქართული თეატრი თავის წელთაღრიცხვას 1850 წლის ორი იანვრიდან იწყებს. ეს ოფიციალური თარიღია. ამ დროიდან მიეცა ცოტათ თუ ბევრათ მუდმივი და **საზოგადოებრივი** ხასიათი ქართული წარმოდგენების მართვის საქმეს. ამიტომაც ქართველი ხალხის შეგნებაში ეს დღე ქართული თეატრის საზოგადოებრივი დაბადების დღედ ითვლება რომელსაც იგი ყოველ წელს დიდი ზეიმით და აღფრთოვანებით ეგებება.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ქართული თეატრი ერთს მშვენიერ დღეს მზამზარეულად, „უჩინრათ" (პ უმიკაშვილი), „ხელათ" (ნ. ჟორდანია) გაჩნდა მაშინდელი ნამესტნიკის—ვორონცოვის მოწყალებით.

ამ ჟამად ჩვენ თეატრის ქრონოლოგია არ გვაინტერესებს მაგრამ მისი ისტორიისათვის ამნაირათ ახსნა უსაფუძვლოა და შეუძლებელი.

სცენიურ წარმოდგენას რამოდენიმეთ მანამდინაც იცნობდა ჩვენი მაღალი საზოგადოება. მართალია ადრე არ გვქონებია თეატრი,—მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის „სახისმეტყველება" (თეატრალური წარმოდგენა) იმის მომასწავებელია, რომ ის მაშინ სულ უცხო და გაუგონარი არ უნდა ყოფილიყო საქართველოში. ჩვენი ქვეყნის მაშინდელი საგარეო-საშინაო და შინაური მდგომარეობა ისეთი იყო, რომ კულტურის და ხელოვნების განვითარება, რასაკვირველია თქმა უნდა, ბუნებრივ კალაპოტში ვერ ჩადგებოდა. შემდეგ იწყება ხანა უდიდესი კატასტროფების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში: სპარსთა შემოსევა, შინაური შფოთი, რუსეთთან კავშირი. ამას მოჰყვა დაღონებული ხალხის ეროვნული დავრდომილება, რომელმაც—თუ არ ვიგულისხმებთ ზოგიერთ მომენტებს,—თითქმის ნახევარი საუკუნე გასტანა. საზოგადოება მკვდარ-ცოცხალი იყო. მაგრამ ამ უსაშინელეს შავ ბნელ ხანაშიც სავსებით არ წარხოცილა კულტურული ნიშანწყალი და აქა-იქ ხალხის გულის სიღრმეში ცოცხლობდა თესლი მომავალი აღორძინებისა. პოეზიას რომ თავი დავანებოთ, არის იმის საბუთებიც, რომ ჩვენში იწერებოდა, უფრო კი ითარგმნებოდა რუსულით და ფრანგულით სხვა და სხვა პიესები, და,—თუმც წარმოუდგენელი სიწმინდით,—ავად თუ კარგად, მზადდებოდა ნიადაგი მწერლობის გამოსაცოცხლებლად და თეატრის წარმოსაშობად.

ვორონცოვის მოვლინება თავისთავად ქართულ თეატრს ვერ შექმნიდა, რომ საამისოდ ერთგვარად პირობები არ ყოფილიყო მომზადებული. ცხადია, ვორონცოვის მართველობამ ხელი შეუწყო და დააჩქარა საქმე სულ ცოტა არ გვინდა თავისი მნიშვნელობა დავუკარგოთ ვორონცოვის ხანას. მაგრამ ქართული თეატრი ისე, როგორც ქართული ჟურნალისტიკა, უვორონცოვოდაც დაიბადებოდა და განვითარდებოდა.

ვორონცოვი სწერს თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში: 1850 წლის დამდეგს ტფილისის საზოგადოების საუკეთესო პირთა მონაწილეობით გაიმართა ქართული წარმოდგენა. ცდა სრული გამარჯვებით გათავდა. შესაძლებელია მუდმივი ქართული თეატრის დაარსება. გაჩნდენ მსახიობნი, შესდგა დასი; სასცენოთ გადაკეთებულია მკვიდრ მცხოვრებთა სიტყვიერებიდან მრავალი დღემდე მივიწყებული საყურადღებო ნაწარმოებნიო და სხ. („Акты Арх. Ком." ტ. X. გვ. 881). მოგეხსენებათ, ვორონცოვი დიდი ღმობიერების და მფარველობის ქურქში ახვევდა რუსეთის დიდმპყრობელურ პოლიტიკას. ის ცდილობდა ჩვენი ხალხის გული მოეგო, რომ უფრო განემტკიცებია თავის თვითმპყრობელური პრინციპი,—და ქართულ თეატრს, ისე როგორც **სხვა** კულტურულ წამოწყებას, ბოლოს და ბოლოს „ტუზემცების", ე. ი. ქართველების **რუსებთან გაერთების (слияние)** თვალსაზრისით უჭვრეტდა (ibid). მაგრამ მისი სიტყვებიდანაც სჩანს, რომ ქართული თეატრი არარაობისაგან როდი შექმნილა, არამედ მზად ყოფილა, ყოველ შემთხვევაში მრავალი ელემენტი მისი სულის ჩასადგმელად და ასაღორძინებლად. ...

ხელოვნება ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების

უმნიშვნელოვანეს და უფაქიზეს ფუნქციას წარმოადგენს და მისი ყოფიერება მჭიდროთ დაკავშირებულია თვით ამ საზოგადოებრივი ცხოვრების შინაგან მოძრაობასთან. ამიტომ ვისაც სურს მართალი წარმოდგენა იქონიოს მის ბუნებაზე, ის პირველყოვლისა ამ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში უნდა გაერკვეს და საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ვითარებაში უნდა აღმოაჩინოს მისი მასაზრდოებელი ძალა. თეატრი, როგორც ხელოვნების განსაკუთრებული დარგი, იმავე პროცესს ემორჩილება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის გავლენა თეატრზე გაცილებით უფრო უშუალოა და თვალნათლივი. თეატრი ვერასოდეს ვერ გაასწრებს თავის ხალხს, ვერ გადალახავს თავის დროს

სწორედ ეროვნულ-საზოგადოებრივი ფსიქოლოგიით აიხსნება ის გარემოება, რომ თეატრმა ჩვენში სრული და განსაკუთრებული ადგილი დაიკავა და განსაკუთრებული გავლენა მოიპოვა. ქართული თეატრი სულ მალე შეიტკბო და შეითვისა ქართველმა ხალხმა; იგი მან გადაძარღვა თავის სულიერ აგებულებას და გადააქცია თავის უკეთილშობილეს გრძნობათა გამომთქმელად. დევნილმა, თავდაცვის ყოველგვარ საშუალება-მოკლებულმა ერმა თეატრსა და მწერლობაში მონახა საუკეთესო კულტურული იარაღი თავის საარსებო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის. ეს არის ქართული თეატრის ისტორიული ბედი, რომელსაც იგი ვერ გაექცეოდა ვერას გზით. მას უნდა იკისრნა უდიდესი ეროვნული მისიის ასრულება, მას ხელოვნურად უნდა გამოეთქვა წარსულის გულის ტკივილი და მომავლის ოცნება.

„სად არის კუთხე“? სად არის თავშესაფარი, სადაც წმინდა ტრაპეზი იყოს ამართული, რომ გვეჭული, ტანჯული და წამებული, შეგინებული და შეურაცხყოფილი წარსულს საუკუნეში ქართველთა სვინდისი მოთავსდეს? სად არის ადგილი, რომ მას თავისი ხატება თვალწინ ედგას, რათა იგი არ წაიშალოს და არ გაქრეს“—აი რა აკვნესებდა გასული საუკუნის უკეთეს მოღვაწეთა გულს, რომელსაც დაუნდობლად შანთავდა თვითმპყრობელობის იმპერიალისტური რეაქცია.

ასეთი წმინდა კუთხე იყო და უნდა ყოფილიყო ქართული თეატრი—„სადგური ქართველის სულის“, როგორც უწოდა მას ილია ჭავჭავაძემ. თვითმპყრობელობის საშინელ ტყვეობისას ეს მართლაც ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ქართველი ხალხი სტკბებოდა მშობლიური სიტყვითა და გრძნობით. აქ ის მართლაც იცინოდა და ტიროდა, ილხენდა და იწყენდა, იმსჭვალებოდა მოძმეთადმი სიბრალულით და თრთოდა მამულის სიყვარულით. (იხ. „ივ.“ 1882. XI).

ნაკლი მრავალი ჰქონდა ქართულ თეატრს. ამაზე ცალკე ვიტყვით. მაგრამ მიუხედავათ ამისა, საზოგადოთ აქ ყოველთვის ისმოდა წარსულის ძახილი და მომავლის ზრახვა, აქ ხალხი ყოველთვის **გრძნობდა** თავის სულიერ გამოღვიძების ნიშანს და ეროვნულ უკვდავების წყურვილს ამიტომ მიდიოდა იგი აღტაცებაში და თეატრიდან მონაბერი პათოსით მაღლდებოდა და ხალისდებოდა.

მეტად დამახასიათებელია ქართველი საზოგადოების მდგომარეობისა და სულისკვეთებისათვის ორი გარემოება, რომელსაც ჩვენი თეატრალური ცხოვრების ყოველი დაკვირებული მემატიანე აღნიშნავს. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა მაყურებელნი კარგათ გრძნობდნენ თამაშის სისუსტეს და პიესის უვარგისობას, მაგრამ ტაშს მაინც გულწრფელად უკრავდნენ, რადგან წარმოდგენა ქართული იყო. ხელოვნურად გაუმართლებელი თამაშის „მოწონების“ ფსიქოლოგიას ვერ გაიგებთ, თუ ისტორიულათ დევნილი „ქართულის“ თვალით არ შეხედავთ საკითხს.

მაგრამ მეორე მომენტი გაცილებით უფრო საინტერესოა. ხშირად ამა თუ იმ პიესას მრავალი ნაკლულევანება ახლავს. მაგრამ მისი წარმოდგენის დროს მაყურებელი საზოგადოება რაღაც თავისებური აპერცეპციის ძალით ამ ნაკლულოვანებათ არ ხედავს და თავისი გულისფანცქალის და ფანტაზიის მიხედვით ასწორებს და ალამაზებს მათ. ამის საუკეთესო დამადასტურებელია, სხვათა შორის, ფრანგულიდან გადმოკეთებული ცნობილი ისტორიული პიესა—„სამშობლო“.

**მარმახელი.**

## ხალხური თეატრი



ალ. თევდგირიძე.
სცენის მოყვარე მსახიობი. სახალხო სცენაზე მოღვაწეობს 1904 წლიდან.

## თეატრი და სოფლის გლეხობა

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ სოფელსა და ქალაქს შორის „ხიდჩატეხილობა“ შიშველ სახეს ღებულობს ხელოვნების დარგში: უმთავრეს ცენტრებს დაშორდენ არა მარტო ის დაბა-სოფლები, რომლებიც რკინის გზის ლიანდაგიდან და შარაგზიდან შორს არიან, არამედ ისინიც კი, რომლებიც თვით ამ სამოძრაო ხაზებზე იმყოფებიან.

დღევანდელი სოფლის თეატრი მიაგავს კუნძულზე მდგომს, რომელსაც დედა-ქალაქთან თითქმის არავითარი კავშირი არ აქვს; ის დამოუკიდებლად ჩაისახა და განვითარდა სოფლის წიაღში. სოფლად თეატრის თუ სახალხო სახლის არსებობას არც ისე გრძელი ისტორია აქვს: მისი ჩასახვა ამ საუკუნის პირველ წლებიდან იწყება. საამისო ნიადაგი მომზადდა სოფლის მასწავლებელთა და ორიოდ სოფლისავე ინტელიგენტ მოწაფეთა მეოხებით. ესენივე დგებიან პირველ დღეებიდანვე სცენის მოყვარეთა რიგებში და მათი თავგამოდებული, დაუზოგველი შრომით იმართებოდა წარმოდგენები მაშინაც კი, როცა ჯერ კიდევ სახალხო სახლების ხსენებაც არსად არ იყო. ამდროს

ფრიად ძნელი იყო დაბრკოლებათა გადალახვა, რადგან ძლიერ ხშირად სცენის მოწყობა სრულიად (ვის ქვეშ ხდებოდა ან და სოფლის სკოლის დარბაზში, რაიც ძლიერ უხერხული იყო. წარმოდგენები იმართებოდა განსაკუთრებით სახალხო დღეობებზე, რათა საკმაო ხალხი მიეზიდა.

სოფლის გლეხობის მიდრეკილება თეატრისადმი თავიდანვე დიდი იყო და ამან ძლიერ შეუწყო ხელი ნიადაგის შექმნას აგებულიყო მთელი რიგი სახალხო სახლებისა, რომლებიც ასე ამშვენებენ დღეს გურიის მოზრდილ სოფლებს. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის თეატრების უმეტესობა უგეგმოთაა აგებული და ულაზათო სახეობა აქვთ. მაგრამ ვკმაყოფილდებით შინაგანი მიღწევით: ვგულისხმობთ თეატრისადმი ტრადიციის შექმნას სოფლის გლეხობაში. დღეს სოფლის გლეხი არა თუ დღესასწაულ დღეს, არამედ კვირა დღესაც სიამოვნებით დაესწრება წარმოდგენას, თუ, რა თქმა უნდა, რაიმე მიზეზები არ აბრკოლებს. საუბედუროდ დღეს ასეთი ხელშემშლელი მიზეზები მრავალია: თეატრში ღუმელების უქონლობა, ცუდი გზები, უსაცმელობა და მრ. სხ.. აი სწორედ ამ მიზეზებში უნდა ვეძიოთ იმ მოვლენის ასხნა, რის გამოც სოფლად წარმოდგენები მხოლოდ გაზაფხულობით და ზაფხულზე იმართება, შემოდგომაზე იშვიათად და ზამთრობით კი სრულიად შეწყვეტილია.

სოფლის გლეხობა დაჩვეულია გართობას, თავისუფალ დროს სასიამოვნო მოსვენებას და სწორედ ეს მიზეზია ის უმთავრესი ბიძგი, რომელიც დღეს გლეხობას თეატრისაკენ ეზიდება. ამითვე აიხსნება ის მოვლენა, რომ სოფლის გლეხობას არ აინტერესებს მაინცადამაინც ტრაგიკული წარმოდგენები, მისი საყვარელი სანახაობაა კომედია-ვოდევილები. ამას ნათლად ამტკიცებს ის წამოძახილი, რომელთა მოსმენაც ყველა სოფლის თეატრებშია შესაძლო; მაგ.: სოფ. ლესის სახალხო სახლში ერთხელ ვოდევილის წარმოდგენის შემდეგ ერთი გლეხი კმაყოფილებით ამბობდა: „აგაშენათ ღმერთმა, არ მენაღვლება ფულის გაღება, იმდენი ვიცინე, რომ ყბების ძვლები მტკივა"-ო.

ასეთია დღეს სოფლის გლეხობის დიდუმრავლესობის შეხედულება თეატრზე. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღვნიშნოთ, რომ გლეხობის ასეთი შეხედულება ამ უკანასკნელ წლებში თანდათანობით ადგილს უთმობს უფრო გარკვეულ წარმოდგენას თეატრსა და მისი დანიშნულებაზე. საჭიროა ამ ნიადაგზე გლეხობის გათვითცნობიერების დაჩქარება. უკვე დროა ქალაქმა თავის უფროს ძმას სოფელს მიხედოს; ის დღეს გვრის ყოფაშია: არ ყავს მუდმივი საჭირო მცოდნე ხელმძღვანელები, აკლია სათანადო ლიტერატურა, თეატრები მხოლოდ შიშველი კედლებია, საბოლოოდ მოუწყობელნი და ბევრ რამის მომთმენი..

დიაღ, ითმენს სოფლის თეატრი და ქალაქის პასუხს ელოდება.

**კუნსილვი.**

# მოლაპარაკე კინო-ფილმა და თეატრის ბედი

გაზეთებში გადმოცემულია ცნობა, რომ ინგლისელმა გამომგონმა ელუელმა მოახერხა მოემზადებია ფილმა, რომელიც იძლევა არა მარტო სურათს, არამედ გადმოგვცემს ყოველგვარ ხმაურობას, ლაპარაკს და მუსიკას. („Заря Востока" № 755).

ამას წინათ მან მოახდინა ლონდონში, ხელოვნების საზოგადოებაში, დემონსტრაცია ასეთი სურათების და მაყურებელთა თვალწინ გაატარა დეკლამატორები, მოცეკვავენი, გიტარის დამკვრელნი, მომღერალნი და თვით პოეზიდენტი კულიჯი სიტყვის წარმოთქმის დროს.

მოლაპარაკე ფილმის პრობლემა გადაწყვეტილია რადიკალურად, რადგან მოლაპარაკე სურათის დემონსტრაცია როდია დაკავშირებული გრამოფონზე, ან სხვა რაიმე იარაღზე, საქმე იმაშია, რომ თვით ფოტოგრაფიული აპარატი, რომლითაც ხდება სურათის გადაღება, შეიარაღებულია გაზის მოციმციმე ჭრაქით, რომელსაც ახლავს ფრიად მგრძნობიარე მიკროფონი და რომელიც ირხევა ხმაურობაზე და შესაფერ ნიშნებს სტოვებს ოვით სურათის ლენტზე ნათელი პატარა ხაზების სახით.

სურათის დემონსტრაციის დროს, ამ ნათელი ხაზების მოძრაობა მგრძნობიარე ეკრანზე იწვევს ეკრანის რხევას, რომელიც ძლიერდება განსაკუთრებული მოწყობილობის საშუალებით და შემდეგ ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატის მეოხებით გადაეცემა მაყურებელს.

ამრიგად ერთდროულობა სურათზე მოცემული მოძრაობისა და ხმაურობისა სრულიად დაცულია და შთაბეჭდილებაც ამის გამო სრული და უნაკლოა.

ეს აღმოჩენა კინემატოგრაფიაში, ჩვენის აზრით, კრიტიკულ მდგომარეობაში აგდებს თანამედროვე თეატრს.

ჯერ ერთი ის, რომ კინემატოგრაფიის ტეხნიკური საშუალებანი პიესების დასადგმელად განუზომელად დიდია, ვიდრე თეატრისა: სად თეატრის შემოზღუდული სცენა და ნაკოწიწევი დეკორაციები და ბუტაფორია. სად გაშლილი ბუნება, ზღვა და ხმელეთი; სად მდარე მსახიობნი პროვინციისა, და თუ გნებავთ, თეატრების დიდი უმრავლესობისა, და სად რჩეულნი მსახიობნი კინოსი.

სად კინოს ფინანსიური საშუალებანი და სად თეატრისა.

ამ ორე უფრო მეტად მნიშვნელოვანი გარემოება ის გახლავთ, რომ ასეთი ფილმების საშუალებით მთელი მსოფლიოს მცხოვრებთ საშუალება ეძლევათ მოისმინონ და ნახონ წარმოდგენები მსოფლიოს ყველა ერების საუკეთესო არტისტებისა თავისავე სახლში, ნახონ არა მარტო მათი მუნჯი მოძრაობა ეკრანზე, არამედ გაიგონონ მათი ხმა, მათი ენა და სიმღერა.

დღეს, როდესაც ხალხი მასჩერებია მუნჯ სურათს მაინც კინო გადაიქცა ყველაზე უფრო გავრცელებულ სანახაობათ და თეატრს თანდათან აცლის პოზიციას პოზიციაზე, რაღა იქნება ხვალ, როდესაც ახმაურდება კინოს დარბაზი და ეკრანიდან გაისმის მსახიობის მკვეთრი ხმა და დამატკბობელი სიმღერა!

უეჭველია ყველა ერის სათეატრო მოღვაწენი ჩაფიქრდებიან ამ პერსპექტივების წინაშე.

მაგრამ ერთი გარემოებაა, რომელიც თეატრს ფეხს უმაგრებს თავის ისტორიულ პოზიციაზე.

ეს ის გახლავთ, რომ თეატრი სარკეა ერისა, მისი ყოფა-ცხოვრების ამსახველი და რამდენადაც ერის ყოფა-ცხოვრება მრავალფეროვანია, იმდენად თეატრის შემოქმედება მდიდარია და მრავალფეროვანი.

იგი უფრო მოძრავია და ცხოვრებას კვალ და კვალ მისდევს.

და იმდენად, რამდენადაც თეატრი დარჩება ეროვნული ყოფა-ცხოვრების სარკედ, მისი სულის მესაიდუმლედ, ეროვნული კულტურის და აზროვნების მებაირახტრედ—იმდენად იგი უძლეველი იქნება.

თეატრი, როგორც მხოლოდ სანახაობა, უკვე ვეღარ იბოგინებს მოლაპარაკე კინოს გვერდით.

**ის.**

# საქმე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მოვგვარდეს

III

როგორი უნდა იყოს სახალხო სახლი?

იმ მიზნის მიხედვით, რომელსაც სახალხო სახლი უნდა ემსახურებოდეს, იგი უნდა წარმოადგენდეს ისეთ არგილს, სადაც ხალხი თავისუფლად თავს მოიყრის იმისთვის,

1) რომ გაუზიარონ ერთმანეთს აზრი, ჭირი და ლხინი;

2) რომ ითათბირონ და იმსჯელონ თავის საზოგადო საქმეებზე;

3) რომ სახალხო ლექციებისა და კითხვების საშუალებით გაეცნონ თანამედროვე კულტურას და მეცნიერებას, ლიტერატურას და ისტორიას;

4) რომ დაუახლოვდენ საერთოდ ხელოვნებას—პოეზიას, მუსიკას, დრამას თვით ხალხის უშუალო მონაწილეობით სცენის მოყვარეთა წრეებში, მომღერალთა და დამკვრელთა გუნდებში, მოლექსეობა-მოშაირობაში და სხვ.

5) სახალხო სახლი უნდა იყოს ის ასპარეზი, სადაც იქნება ცილობა და შეჯიბრება ხელოვნებასა და ცოდნაში; აქ, როგორც სარკეში უნდა გამოჩნდეს ხალხის კულტუროსნობა და ზნეობრივი თვისებანი.

ამავე დროს სახალხო სახლი უნდა იყოს ის ცენტრი, საიდანაც უნდა გამოდიოდეს ხალხის იდეური და ზნეობრივი ხელმძღვანელობა.

აქედან მკითხველი მიხვდება, რომ ის, რაც ჩვენ **სახალხო სახლს** ვუწოდებთ, არ არის მარტოოდენ არც თეატრი, არც სხვა რამ გასართობი.

სახალხო სახლში შეიძლება იმართებოდეს წარმოდგენები, კონცერტები, კინო-თეატრები და სხ. მაგრამ მისი მთავარი მნიშვნელობა ამით არც განისაზღვრება, არც ამოიწურება.

სახალხო სახლისათვის ყველა ეს წარმოდგენები და კონცერტები მხოლოდ საშუალებაა ხალხის ხელოვნებასთან დასაახლოვებლათ, მისი გონების და ზნეობის გასაფართოებლად.

ამით სრულიადაც არა მცირდება მოთხოვნილება, რომ ეს წარმოდგენები იყოს ლამაზი და მხატვრული, წმინდა ესტეტიური ემოციების აღმძვრელი, რადგან მხოლოდ ჭეშმარიტად მხატვრულად სრულს ნაწარმოებს შეუძლია იქონიოს მაყურებელ დამსწრეებზე დიდი გამაფაქიზებელი გავლენა, მხოლოდ მას შეუძლია აამუშაოს ადამიანის აზროვნება, დააფიქროს იგი ცხოვრების ავკარგზე და ადამიანთა შორის არსებულ ურთიერთობის უსამართლობისა და შეუსაბამობაზე.

ჩვენთვის „სახალხო სახლი“ არ არის მარტოოდენ ბინა ანუ შენობა.

ამ სახელს ჩვენ ვუწოდებთ ხალხის ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ამა თუ იმ სოფლის, ანუ უბნის მცხოვრებთ აკავშირებს საზოგადო და კულტურული მუშაობისათვის.

ძველად ამის დანიშნულებას ასრულებდნენ სათემო მოედნები. აქ იკრიბებოდა ხალხი სათემო ცხოვრების მოსაწესრიგებლად, აქ ხდებოდა სამართალი, აქვე გაისმოდა ქადაგება და იმართებოდა პაექრობა; აქვე იმართებოდა სათემო ლხინი, ცეკვა თამაში, ბურთი და ჯირითი, დაკვრა და სიმღერა, ლექსთა თქმა და გაშაირება.

აქ ხალხი ზეპირგადაცემით ეცნობოდა ქვეყნის ამბებს და ხალგაზრდობა უხუცესისაგან სწავლობდა სიდარბაისლეს, სიტყვა-პასუხს, ცხოვრების ავკარგს და სიბრძნეს.

აქ მტკიცდებოდა ხალხის ზნე ჩვეულება და გადადიოდა თაობიდან თაობაზე.

სახალხო სახლი, როგორც ბინა, იმდენად არის აუცილებელი, რამდენადაც ხალხს ჩვენს დროში არ შეუძლია ყველა იმის შესრულება მოედანზე, ცის ქვეშ, რაც სახალხო სახლში უნდა კეთდებოდეს.

მთავარია დედააზრი ორგანიზაციისა, და არა შენობა.

ამ მხრივ არის დღეს სახალხო სახლის საკითხი უნუგეშო მდგომარეობაში.

მართალია, ბევრგან აშენდა შენობები, რომელსაც სახალხო სახლს უწოდებენ, ბევრგან დაბა-სოფლებში იმართება წარმოდგენები, მაგრამ **სახალხო სახლი** იმ მნიშვნელობით, როგორც ჩვენ გვესმის, არსად არ არის.

და ჩვენი ცდაც უმთავრესად იქითკენ არის მიმართული, რომ ეს ნაკლი შეივსოს, რომ ეს ცარიელი ადგილი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ამოივსოს.

და რაც ჩქარა მოხდება ეს, მით უკეთესი. ხალხი გრძნობს ინსტიქტიურად, თუ რა განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს მისთვის და მისი მომავლისათვის სკოლასა და სახალხო სახლს. იგი მიხვედრილია, ერთის მხრით, რომ ცოდნაა მისი ცხოვრების ლამპარი და ამისათვის აშენებს სკოლებს, ხოლო, მეორეს მხრით, გრძნობს, რომ დიდი ხნიდან-დარღვეული მისი საზოგადოებრივი ცხოვრება და მისი აქტივობა ამ ცხოვრებაში უნდა აღსდგეს აუცილებლად, და ამისათვის ის ამზადებს და აშენებს ახალ ტაძრებს—სახალხო სახლებს, სადაც ამ ცხოვრებამ თავისი სახე უნდა გამოაჩინოს.

ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ამ პროცესს და ახლავე გამოვარკვიოთ სახალხო სახლის ნამდვილი მნიშვნელობა და როლი ხალხის ცხოვრებისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს უახლოეს მომავალში სათანადო ორგანიზაციების შექმნა სახალხო სახლის გარშემო და ჩვენს ხალხში კულტურული მუშაობის შესაფერისად მოწესრიგება.

თუ ჩვენი აზრი სახალხო სახლის მნიშვნელობაზე სწორეა, თუ ზემოდ წამოყენებული დებულებანი სადაო არ არის, მაშინ ჩვენ ადვილად შეგვიძლია გამოვიყვანოთ აქედან შესაფერი დასკვნები და გავარკვიოთ, თუ როგორი უნდა იყოს ორგანიზაცია ხალხისა სახალხო სახლის გარშემო და როგორ უნდა სწარმოებდეს იქ მუშაობა.

შემდეგ წერილებში ჩვენ შევეცდებით ამ კითხვების გამორკვევას.

ის. ფარაზაშვილი.

## ჩვენი კინო



ქ. ჯაში—რკინის კოგორტა.

## ჰიმნი რევოლიუციას

სასწაულების უხვო ტაძარო,
წმიდაო რევოლ, დიდება შენდა.
გენიალობის თესლის ხანძარო
უდაბნოები შენით დამშვენდა.
დიდება შენდა!

სიფხიზლის დროშავ, შენი ბრძანება
მატერიკებზე მტკიცედ გაშენდა,
ვეღარ დაანგრევს თვით რკინის ნებაც,
სასტიკო რევოლ, დიდება შენდა,
დიდება შენდა!

შენ გუთანი ხარ მეცნიერების,
შენით ეკლნარი მთლად გადაშენდა;
ჩირაღდანი ხარ ჩაკრულ ერებისა,
ბრწყინვალე რევოლ, დიდება შენდა,
დიდება შენდა!

ქ. რატიშვილი.

## ნაწყვეტი*)

(ლერმონტოვისა)

ეს დღეც გათენდა.. უკვე ალვისო
მწარე ფიალა ტანჯვა-ვნებისა,
ზღვა აბობოქრდა და დაამსხვრია
რკინის ბორკილი მოთმინებისა.
აქამდე მშვიდმა და უყინარმა
რისხვით და წყრომით აღმართა ძალა,
აქაფებული ზღვირთი ზღვირთსა ჰკრა,
კიდის მიაწყდა და გაიშალა.
მლიქვნელ მონებით გარს მოხვეული
მეფე შორიდგან ზღვას გასცქეროდა
და მისი წყრომა ღიმილსა ჰკვრიდა,
ზღვის ძლიერება არა სჯეროდა.
„ნუ უფრთხი, მეფევ“, უთხრეს მონებმა:
„გვიბრძანე ერთგულთ და სიტყვას გაძლევთ,
რომ აღელვებულს ზღვას დავწყნარებთ,
თავხედს სტიქიონს ადვილად დავძლევთ“.

—

აგერ მეფემაც, გულით მღვარმა,
ხელის აქნევით გასცა ბრძანება
ჯოხითა დასჯისა, მშფოთვარე ზღვისა
შეკვრა, ალაგმვა, დამოშმანება.
ზღვა-კი კვლავ ჰქუხდა, არა ცხრებოდა,
ტალღა კვლავ ტალღას ემატებოდა,
ზღვირთად ქცეული, ქაფმორეული
სასახლის კედლებს ეტანებოდა...
და მიხვდა მეფე, რომ განქრა ის დრო,
როს ვინც თოფის ხმას გაიგონებდა,
შიშით და ძრწოლით ზარ-დაცემული,
ქედმოდრეკილი უტყვად შეოხებდა...
მიხვდა, შეირყუნდა და აკანკალდა,
თვალით ეძებდა კარისკაცთ კრებულს,
მაგრამ ამაოდ.. არავინ ჩანდა,
ობლად შერჩენოდა ბრბოს გაფთრებულს.

—

სასახლის ბანზედ ამაყად შედგა
და იქ ეძებდა ხსნას, ეყუდრო ალაგს,
მწუხარე თვალით უმწეოდ უმზერდა
თავის დიდებულს სატახტო ქალაქს...

ა. ახნაზაროვი.

*) ეს ლექსის ნაწყვეტი პირველად 1860 წ. დაიბეჭდა მოკლედ ჟურ. „Современник“-ში და შემდეგ მხოლოდ ჟურ. „Былое“-ს 1906 წ. მაისის №-ში იყო მთლად გამოქვეყნებული.

## ჩვენი კინო



მ. გელოვანი და კ. მიქაბერიძე
„სამი სიცოცხლე“.

# ხალხური მწერალი



ეთიმ-გურჯი

ქ. ტფილისს ყოველთვის ჰყავდენ თავისი აშიკ-მეხოტბენი. ესენი იყვნენ ჩვენი დედა ქალაქის „ძველი მოქალაქენი“, რომელთა მგოსნური გრძნობა, შემოქმედება ამეტყველებული იყო ტფილისის თავისებური ცხოვრებით და სილამაზით!..

ერთი ამ გვარი მგოსანთაგანია, „ისანი“-ს (ავლაბრის) ბოღემა, სახალხო მუშა პოეტი ეთიმ-გურჯი.

და ჩვენ გვგონია, რომ ერთი უკანასკნელთაგანიც, როგორიც ამ გვარი ხასიათის მგოსანი.

ეთიმა პირველად სწერდა სამიჯნურო ლექსებს, ხოლო შემდეგ, როდესაც ჩვენში მუშათა მოძრაობა დაიწყო, მგოსანი შეეხო სოციალურ საზოგადოებრივ ჰანგებსაც.

ეთიმ-გურჯი გამოსულია მუშათა წრიდან, თავისით შეისწავლა წერა-კითხვა. ობლად გაიზარდა, თითქმის ქუჩაში. მან ბევრი დევნა-ტყვეობა განიცადა ძველ რეჟიმის დროს.

ამ ოცდა ათი წლის განმავლობაში, ეთიმას ლექსების ბევრი წიგნაკი გამოიცა, რომელიც სწრაფად ვრცელდებოდა მდაბიო ხალხში. თავის დროზე ძალიან გავრცელებული იყო მისი ისტორიული სახალხო პოემა „ანაბაჯი“, რომელსაც მეფანდურენი ფანდურზე დამღეროდენ.

ანა-ბაჯი მეფე ერეკლეს თანამედროვე მეომარი ქალი იყო, რომელიც დიდ გმირობას იჩენდა.

ეთიმ-გურჯის ლექსებს უმთავრესად მღერიან დუდუკზე მომღერალნი და საზანდრები.

ის ნში რომ გაიაროთ. ყველა ქუჩაზე გაიგებთ ეთიმას სიმღერებს: აქ იგი მეტად ცნობილია.

მგოსანი თავის სასიმღერო ლექსებს თვითვე უთხზავს ჰანგებს.

ეთიმ-გურჯია გვარად დაბლიშვილია. დაიბადა ქ. ტფილისს, ხარფუხის უბანში. მისი გვარი ახლო ნაცნობმეგობრებმაც-კი არ იციან. მას იცნობენ **ეთიმ-გურჯის** სახელით, რაც ნიშნავს **ობოლ ქართველს**. და მართლაც მგოსნი ეთიმა მართლებს ამ სახელწოდებას თავისი პირადი ცხოვრებით. იგი არის ნამდვილი ბოღემა!

აქვე სანიმუშოდ ვბეჭდავთ ერთ მის ლექსთაგანს.

ვ. ბ.

## სევდის სიმღერა

სევდის სიმღერა ავაბი, ცრემლის სიმები ავაბი.
მე ჩემი თავი დავღუპე, ძალით მახეში გავაბი...
ნეტა რა ცოდო-ბრალი მაქ, ბედი რომ შემომწყრალი მაქ.
გაიჩინო, ერთხელ მიხსენი, გათავდეს თუ რამ ვალი მაქ!

---

აშრომი ტყვილ დამმიცდა, აზრის მიზანი ამიცდა,
არ იქნა ვერა ვასმინე, საწერ-კალამი გამიცვდა...
ენა გავცვითე ღღერითა, ტვინი მოვღალე წერითა,
დაღამდა თვალის სინათლე, მისი ლოდინის ცქერითა!

---

ვყვირი მთა-ბარად ველადა, ლოღმანის საძებნელადა,
სად არის ზოთას საფლავი, წავიდე საჩივლელადა!..

ეთიმ გურჯი.

* * *

კალმით დავდივარ ამ სოფელში, გამგონ ხალხის ასაწერად,
ანდამატის ბადეს ვიგრი, ვაჟკაცების დასაჭერად...
სულის მეკობრეებს დავეძებ, ჩემ გულზედა დასაკერად.
ბილანები*) არ ამცდება, ჩემ დავთარში ჩასაწერად!

---

ანბანით წალკოტს ვაშენებ, მეჯლისების დასაფერად...
სიყვარულის ჩანგურს ვმართავ, ლამაზების დასამღერად...
ყველა ერი სწორად მიყვარს, ვყვირი ყველას დასაჯერად.
ეთიმ-გურჯის მოსაგონათ, ანდერძს ვტოვებ ამიერად!

ეთიმ-გურჯი.

---

## ჩვენი კინო



---

# პროვინციის თეატრი

უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის, რომ ჩვენი თეატრები ორ ბანაკად იყოფებიან. გაყოფა თავის-და უნებურად ხდება. გაყოფა მექანიკურია.

პირველი ფართოვდება, მეორე ვიწროვდება. იმ დროს, როდესაც პირველი ახალს ჰქმნის, მეორეს ძველიც ვერ შეუსწავლია. **პირველი ტფილისია, მეორე პროვინცია.**

ახალი სახე თეატრისა აქაც სასურველი იქნებოდა. ახალი სული მოქმედებისა აქაც დაიბერებოდა, მაგრამ არ სჩანს.

ცენტრის სული აქ უცნობია.

---

*) ბილანი—გამგები, ცნობიერი, შესმენილი.

მიჰდევენ „ფეხის ხმას“, რაღაცისათვის იბრძვიან, რაღაცას აკეთებენ, რისთვის? რატომ?.. ამის პასუხის გამცემი არავინ არის.

ცენტრის მოძრაობას პროვინცია ვერ ხედავს, პროვინციის მისუსტებული ხმა ცენტრს არ ესმის.

იბეჭდება გაზეთებში, ჟურნალებში, ესა და ეს პიესა დასდგეს.. ესა და ეს თამაშობდა.. ამას კარგათ ასრულებდა, მაგრამ არაფერს ამბობენ იმაზე, თუ რაში გამოიხატება სიახლე ან როგორ გამოვიყენოთ ის სცენაზე.

რითი იხელმძღვანელოს პროვინციამ?

პროვინციის საზოგადოება თეატრებს აღარ ეტანება. აღარ კმაყოფილდება.

მრავალჯერ უყურეს „სიყვარულის მსხვერპლს“, „ციმბირელს“, „არშინ მალ ალან“-ს და სხვას მრავალს.

ზეპირად ხომ არ შეისწავლიან!..

ახალს არაფერს ხედავენ...

მაყურებელი მიდის თეატრში. სცენაზე ხედავს იმას, რასაც ათჯერ მაინც უყურა. რა ჰქნას, უნდა იცინოს. და კიდევაც ვხედავთ, რომ დარბაზში, დრამის მწარე განცდის დროს, სიცილ ხარხარია!

ასეა პროვინციებში.

იდგმის პიესა. შემოსავალი აინტერესებთ... ფული აღარ გროვდება... გული უტყდებათ.. სასოწარკვეთილებაში ვარდებიან...

განა ფულისათვის, მხოლოდ ფულისათვის იდგმის პიესები?.. იმართება საღამოები?..

ვგონებ, რომ არა!..

საღამომ მაყურებლებს ახალი სული უნდა დაჰბეროს, ახალი ბრძოლის უნარი ჩაუნერგოს და მაშინ აღარ იტყვიან: „რა უბრალოთ დავკარგე ფული“-ო.

ეხლა კი საცოდ ობაა!..

ასეთია პროვინციის თეატრის მდგომარეობა. ეს არის აქ, ყველაფერი და არაფერი!

გამოსავალი გზა?!... შემდეგ იყოს.

**ევ. ნოზაძე.**

# ქართულ ჩუქურთმისა და მოზაიკის ისტორიიდან

### მოზაიკ-მოქანდაკე ნიკო მეტეხელი

მოზაიკა უძველესი დროიდამ ევროპასა და აზიაში ერთ საუცხოო ხელოვნება ხელოსნობად ითვლება და მის ნაწარმოებთ დღესაც დიდი გასავალი აქვს.

ევროპიული მოზაიკა კეთდება სხვადასხვა ფერადის ქვებისაგან, რომელნიც გათლილები არიან და გაპრიალებულნი, რაც მეტად საოცარ სანახაობას წარმოადგენს.

მოზაიკის ოსტატობა ქართველებმაც იცოდნენ ძველთაგან. ქართული მოზაიკა იყო თავისებური და არა ისეთი, როგორიც დღეს ევროპიული მოზაიკაა.

ძველად ქართველებს მოზაიკის ქვები უცხო ქვეყნიდან შემოჰქონდათ: ბიზანტიიდან, არაბეთიდან და ქალდეადამაც. ეს გარემოება, შესაძლოა, საქართველოს ქვების შეუსწავლელობის ბრალი იყოს.

ქართული მოზაიკის სურათებს აკეთებდენ ფერადის ქვების კენჭებით, უმეტესად კი სულ ყვითელის ქვებით, მაგ. ტბეთის ტაძარი, შავშეთის, რომელიც XI ს. არის აშენებული.

იქ იყო ქართული მოზაიკით გაკეთებული თვით ამ ეკლესიის ამშენებელის სურათი, მის საფლავის ზემოთ.

ნიკო მეტეხელს დაუვლია საქართველო და ისეთი საუცხოვო ქვები შეუკრებია, რომლის ცოდნა ჩვენ სულ არა გვაქვს; ყველა ეს ქვები, თურმე, მოზაიკის საჭიროებას დიდათ აკმაყოფილებენ. ასეთი ქვები, თურმე ევროპის ბევრს ქვეყანაში არ მოიპოვება, ჩვენში კი მრავალთ უმრავლესია.

ვინ არის ნიკო მეტეხელი?

ნიკო მეტეხელი დაიბადა ქ. ტფილისს 1887 წ. ქართული წერა კითხვა ძმამ შეასწავლა.

1898 წ, პატარა ნიკო მოწაფედ შევიდა ანდრეოლეტის ჩუქურთმის და ქანდაკების ქარხანაში, რომელიც მაშინ და დღესაც განთქმული ფირმაა.

აქ ნიკომ შეისწავლა მარმარილოს ქვებზე ჩუქურთმით ძეგლების კეთება.

1903 წ. ამ ქარხანაში სწავლა დაამთავრა, იქვე ქარგლად დარჩა და დიდს ნიჭი იჩენდა.

1905 წ ნიკო მოსკოვს გაემგზავრა სამუშაოდ კაბოევის ცნობილ ქანდაკების ქარხანაში, 1907 წ. აქაც სწავლა დაამთავრა და იმავე წლის ბოლოს გაემგზავრა იტალიას.

იტალიაში შევიდა ცნობილ ფირმის კომპალიონის ქარხანაში, სადაც დაიწყო შესწავლა, როგორც საორნამენტო ხელოვნური მუშაობის, ისევე ჩუქურთმების და ქანდაკების.

ორი წლის შემდეგ ნიკო საქართველოში დაბრუნდა. აქ ჯარის კაცათ წაიყვანეს.

ჯარის კაცობა გაათავა 1912 წ. და მაშინვე გაემგზავრა საფრანგეთს.

პარიზში იგი დადგა ეროს ცნობილს ფირმის ვოლის ქარხანაში, სადაც მან დაიწყო სწავლა ევროპიული მოზაიკის.

ჩვენს დროში ქართველის კაცისაგან ეს პირველი მაგალითია: როგორც ვიცით, ქართველს დღემდის არავის შეუსწავლია ევროპიული მოზაიკის ხელოვნური მხატვრობა. ნიკომ საკმარისი დრო დაჰყო პარიზში და კარგად შეისწავლა ეს ხელოვნება.

თავის ხელობის ცოდნის სანიმუშოდ გაუკეთებია მოზაიკის რამოდენიმე სურათი და თან ჩამოუტანია, რაიცა დიდ ყურადღებას იპყრობს.

ნიკოს გამოსვლა მოზაიკის ასპარეზზე მიზეზს მაძლევს, ქართველობას და საქართველოს მთავრობას მიულოცო ამ იშვიათი ხელოვანის გამოჩენა და სამშობლოში დაბრუნება.

როგორც ხელოვნების, ისე ნაწარმოების მხრივ საჭიროა, ნიკო მეტეხელის ხელოსნობას საქართველოში დამამარე გამოუჩნდებოდეს, რათა მან ჩვენში ამ ასპარეზზე მუშაობა გააჩაღოს. *)

**ზ. ჭიჭინაძე.**

*) როგორც შევიტყეთ, ნიკო მეტეხელს მთავრობის სათანადო დაწესებულებამ უკვე დახმარება აღმოუჩინა და ქარხნის მოსაწყობად საშუალებაც მისცა. რ е д.

# დაბა-სოფლის მოღვაწენი



ექ. პ. ი. ჩხიკვიშვილი.

(1855—1924)

დიდი ორიგინალი, არაჩვეულებრივი პიროვნება, განსაკუთრებული ხასიათის მქონე, ჯანმრთელი, ლამაზი, ახოვანი, ფრიად განათლებული, თავის ხელობის ჩინებული ოსტატი, მონადირე, დაუცხრომელი ენერგიის პატრონი, ენა-მწარე, ნამდვილი ოთარაანთ ქვრივი, სცენის მოყვარე, საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მასწავლებელი, ავადმყოფის უკანასკნელი იმედი,—აი ვინ იყო აწ გარდაცვალებული ყველასაგან საყვარელი ექიმი პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილი.

დაიბადა 1955 წელს. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე სწავლობდა, შემდეგ გადვიდა და დაამთავრა საექიმო ფაკულტეტი. სტუდენტობის დროს მოუსვენარმა, ხალხის მოყვარემ იმპერატორ ალექსანდრე მეორეს მკვლელობაში (1881) მიიღო პირადი მონაწილეობა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1884) დაბრუნდა სამშობლოში და სამუშაო ასპარეზად აირჩია ხონი, სადაც მარჩიელობას, მკითხაობას, კუდიანობას, სიბნელეს ფართედ გაეშალა ფრთები.

ლაპარაკი იმაზედ, რომ თუ ვინმეს, პირველს პოლიკარპე ივანესძე ჩხიკვიშვილს ჰქონდა მეტი შესაძლებლობა დაბინავებულიყო სატახტო, ან რომელიმე დიდ ქალაქში და იქ ერთი საუკეთესო ექიმთაგანი ყოფილიყო, ზედმეტად მიგვაჩნია. იშვიათი ნიჭის პატრონს, სათანადოთ მომზადებულს დიდი გაქანების კაცს, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ პირადი კეთილდღეობა და თავი თვისი შესწირა უმეცრებასთან ბრძოლას. ორმოცი წლის განმავლობაში მედგრად იდგა თავის პოსტზე. ხონი, მისი რაიონი, იმერეთის სხვა კუთხეები, შორეული ლეჩხუმი და სამეგრელო—აი მისი სამუშაო რაიონი. ყოველ კრიტიკულ მომენტში ქუთაისის ცნობილი ექიმები თოფურია, ხეჩინოვი და სხვები. პოლიკარპეს მიმართავნდენ ხოლმე. იშვიათად თითქოს არასოდეს შემცდარა დიაგნოზის დასმაში, რაიც ასე იშვიათია ჩვენსა და ძველს დროში. ხელიდან წიგნი არ გაუგდია, მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა იცოდა, ფულით არასოდეს დაინტერესებულა: ღარიბებს არაფერსართმევდა, უღარიბესს თავის დღიურ ლუკმისათვის ნაშოვნ თანხიდ ნ წამლის ფულს აძლევდა. სახლი არ შეუძენია და კარი. ბევრი ვალი ემართა. არაჩვეულებრივი კაცი იყო. ყველას უყვარდა. ყველა პატივს სცემდა. ბავშმაც იცოდა მისი სახელი. ხონის საოსტატო სემინარიის მედიცინის მასწავლებელი იყო. სემინარიელებში რევოლიუციონური სულის აღზრდაში საკმაოდ დიდი როლი მიუძღვის. მანვე დაარსა ხონში დრამატიული წრე. აკაკი წერეთელმა ჯერ კიდევ 1901 წელს, „ივერია“-ში მთელი ფელეტონი დასწერა ამ იშვიათ ენციკლოპედიურ პიროვნების შესახებ. იყო სოფლად და სოფელს არგო. გარდაიცვალა 6 ივლისს. მისი გარდაცვალების მეორე დღეს მოვიდა ხონში დასავლეთ საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების დადგენილება, რომ პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილს ორმოცი წლის ფრიად ნაყოფიერი მუშაობისთვის ბრწყინვალე იუბილე, დღესასწაული უნდა გადაიხადოო. ულმობელია ცხოვრება. იუბილე დასაფლავებათ შეიცვალა. ზღვა ხალხი დაესწრო მის უკანასკნელად გამოთხოვების დღეს. სიტყვები სთქვეს: ხონის აღმასკომის სახელით ამხ. გიორგი ბახტაძემ (აღმასკომის დადგენილებით ღარიბესისთვის ჩხიკვიშვილის სახელობის ერთი უფასო საწოლი დაარსდა საავადმყოფოში), დასავლეთ საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა სახელით სიტყვა სთქვა ექიმმა დოლაბერიძემ, ხონის ექიმთა დავალებით ექ. მათე ბახტაძემ. დაასაფლავეს ეკლესიის გალავანში. (სჯობდა ბაღში).

სტიროდა ხალხი, როგორც შვილი იტირებს მოამაგე მამას. დაიკარგა ერთი საუკეთესო ექიმი საქართველოს მაშტაბით. დაობლდა მხარე...

ვ. ძიძიგური.

# ჩემი თავგადასავალი

(იხ. „თ. და ც.“ № 18 (20)

მამა ჩემი, როგორც ზემოთაც ვსთქვი, კალიგრაფი იყო, ქვაზე, ხეზე მშვენივრად გამოჰყავდა ასოები, რისთვისაც ჰქონდა საჭრეთლები. მან დასტოვა მჭადა ქვაზე ამოჭრილი თვისი ეპიტაფია:

„უფალო, აღმიყვანე მას მთას წმინდასა,
სადაც გალობენ ანგელოზნი შენს დიდებასა“.

მომიხსენეთ იმ ცხოვრებაში მღვდელი ზაქარია მგალობლიშვილი“.

ეს ზედ-წარწერილი ქვა ედო მამი-ჩემის საფლავს ელიის ეკლესიაში. 1921 წ., საქმისა გამო, ვიყავი ჩემს საგაზრდილო სოფელს ღირბში; ქვა მამიჩემის საფლავზე აღარ აღმოჩნდა, ვიღასაც დაუმტვრევია, ერთი ნატეხი ვიპოვე რამდენიმე ასოთი. ქვა პატარა იყო. მე მინდოდა წამომეღო და გადამეცა ჩვენი მუზეუმისათვის, როგორც ნიმუში ქართული კალიგრაფიის.

რამდენადაც მამა ჩემი სასტიკი, მაგარი, შეუპოვარი და პირდაპირი ხასიათისა იყო, იმდენად დედა ჩემი მარიამი იყო ლმობიერი, გულჩვილი. იგი იყო შვილი გორის-ჯვრის (ქ. გორთან ახლოს) წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდლის ანდრია ბიბილურისა, დედით ხახანაშვილისა, დისწული პროფესორ ალ. ხახანაშვილის მამისა,

დედა იყო კარგად მცოდნე საეკლესიო წიგნებისა და სალმთო წერილისა, მხნე მეოჯახე.

პაპა ჩემი სვიმონი, როგორც შესავალში ვსთქვი, აღიზარდა მცხეთაში, სახით იყო წარმოსადეგი, ბრგე, ბადრის სახისა, დიდებული მკითხველი და მგალობელი. პაპა ჩემს მხოლოდ ერთი შვილი ჰყოლია — მამა ჩემი ზაქარია, დედა მისი მშობიარობაზე გადაცვლილა და სვიმონა სიკვდილამდე დარჩა მთავარდიაკვნად. მამა ჩემი თვით გაწვრთნა საეკლესიო კითხვა-გალობაში; აღზარდა მედავითნედ დირბელი გლეხის შვილი გიორგი უგრეხელიძე, რომელსაც მეტ სახელად „კომეჭას" ეძახდნენ და რომელზედაც მე ჩემს „წარსულ-დან"-ში მოთხრობილი მაქვს. პაპა ჩემი წირვაზე სახარებას ზეპირად კითხულობდა, კითხულობდა მკაფიოდ. სასიამოვნო კილოზე, სასოებაში მოჰყავნდა მსმენელი. მისი აღზდილი უგრეხელიძეც მკაფიო მკითხველი იყო, აუჩქარებელი, მსმენელს ერთი სიტყვაც არ გამოეპარებოდა შეუსმენლად. ესეც სამოციქულოს ზეპირად კითხულობდა: უფრო საკვირველება: დიდ შაბათს ოექსმეტს საწინასწარმეტყველოს ზეპირად კითხულობდა, მხოლოდ წიგნი კი ედო წინ დაკეცილი. ამისთანებზე იხარჯებოდა მათი ნიჭი და ენერგია!

როცა დირბის კუზოსა ღვთის ეკლესიაში,—მიძინების ეკლესიას ჩვენ სოფელში კუზოსას უწოდებდნენ, მეორე მღვდელი იყო მწირველი, სადაც: პაპა ჩემი, მამა ჩემი და გიორგი უგრეხელიძე გალობდნენ, საყდარში ხალხის ტევა არ იყო ხოლმე. უკეთესს ვერას მოისმენდა ადამიანის ყური. ამიტომაც იყო, რომ ჩვენი ხალხი მოყვარული სიმღერა გალობისა, ბლომად და ბეჯითად დაიარებოდა საყდარში. როცა ასეთი გალობა და მკაფიო კითხვა შეწყდა ჩვენს ეკლესიაში გარუსებული მღვდლების წყალობით, ხალხიც სარწმუნოებით გაცივდა.

მე მახსოვს, ჩვენ სოფელში გლეხებიც გალობდნენ ხოლმე ეკლესიაში მამა ჩემთან ერთად, მაგ. გაბრიელ მაჭარაშვილი და სხვები.

**ხ. მგალობლიშვილი.**

**შეცდომის გასწორება:** № 13 ში სათაური ასე უნდა იყოს: „ჩემი თავგადასავალი" და არა „ჩვენი"... მე 4 გვ. „იმერეთში სოფ. ფარგია", უნდა იყოს: „სოფ. ვარძია".

# როგორ დაიკრძალა ეგ. ნინოშვილი?

1924 წ. 7 მაისს, საღამოს, ფოთიდან მომავალ მატარებელს, ახალსენაკელებიც შევუერთდით და სამტრედიაში, სადაც ტფილისიდან მომავალ დილის მატარებელს უნდა ჩამოევლო, მოუთმენლად მოველოდით. მატარებელმა დაიგვიანა და ჩვენ მოთმინება გვეკარგებოდა.. ბოლოს მატარებლის კივილიც მოგვესმა, ყველა მზადებას შევუდექით. მატარებელი გაჩერდა ფანჯარაში გამოყოფილი თავებიდან ვიცანი „კვალის", ჯეჯილი-"ს, „ივერია"-ს რედაქციების წარმომადგენლები და სხვა ნაცნობნი. იყვნენ ქალებიც. ყველანი შევედით ამათ ვაგონში. დაიძრა მატარებელი. ჩვენ ისე გავერთეთ ლაპარაკში და ჯუმათის სადგურზე ისე ჩავსულიყავით, რომ ერთი სადგურიც არ გვეგონა გავლილი.

ჯუმათის სადგურზე კარგათ ბლომათ მოეყარა ხალხს თავი. ამოვარჩიეთ 42 ახალგაზდა—ქალები და ყმაწვილები. ოროლთ თითო გვირგვინი (21 ც.) მივეცით და წინ გაუშვით, უკან კი ჩვენ, დიდები გავყევით.

ეგნატეს ბინამდის ნახევარი გზა ჩუმად გავიარეთ. სიჩუმე დაარღვია ვარდენ ყიფიანმა.

ვარდენმა გურულ მამაპაპურ ჩვეულებისამებრ დაიწყო ხმა-მაღლა ტირილი;—ჩვენ ეგნატეს ამდენი ამხანაგები და გვირგვინები ვარდენის „მოზარე" შევიქენით, ვარდენი კი ერთად ერთი მონათესავე და „ჭირისუფალი".

ვარდენის ტირილზე ზოგს ცრემლები მოერია, ზოგმა სიცილი და ხუმრობა დაიწყო. უცხო სტუმრებმა პირველად ნახეს გურულების ძველი ზნე-ჩვეულება მიცვალებულზე..

მივედით, ძვირფასი ცხედარი ავსწიეთ და სამუდამო ბინისკენ წავსვენეთ. ეკლესიასთან ეგნატეს ბიძას და მღვდელს „ვ ჭრობის დროს" ცოტა უსიამოვნება მოუვიდათ, მაგრამ საქმე მალე „მორიგებით" გათავდა.

სამარეზე სიტყვები წარმოსთქვეს: ს. ჯიბლაძემ, ი. რამიშვილმა, ვლ. დარჩიაშვილმა (ვრცელი საპროგრამო) და სხვ.

დაკრძალვის შემდეგ სახლისაკენ გავემართეთ. სადილი იყო გამართული. გზაში ვახტანგ გურიელმა ხელი მკლავში გამოუყარა და ნელ-ნელა სხვა მიმართულებით წამიყვანა. მან საშინელი სინამდვილე გამოსთქვა ეგნატეზე..

— „ბატონო, სად ვიყავით ჩვენ, რომ ასეთი დიდი ნიჭიერი კაცი, ასე უდროოდ გამოგვეცალა ხელიდან და ვერ შევიტყვეთო.

სახარების სიტყვები: „ნათელი შევიდა ბნელსა შინა და ბნელმა იგი ვერ იცნა"—ნამდვილ ჩვენზეა ნათქვამიო", და სხვ.

ამის შემდეგ გამ მემშვიდობა და წავიდა,—სადილზე არას გზით არ დარჩა სირცხვილით... დანაშაულობა, რომელიც მთელ საქართველოს მიგვიძღოდა ეგნატეს უდროოთ დაკარგვაში, მარტოდ თავის თავზე იგრძნო, ამით თავი დაისაჯა და საზოგადოებას გასცილდა გულდაწყვეტილი...

აქვე საჭიროდ მიმაჩნია მოვიხსენიო ერთი მეტად სამწუხარო დაუდევრობა, თუ გულგრილობა: მუშებისაგან, რომლისთვისაც ეგნატე თავშეწირული იყო, წარმომადგენელი არ ყოფილა.

სადილი გავათავეთ. როგორც ყოველთვის ვიცით ქართველებმა, სუფრაზე სიტყვებით ბევრი რამე გავაკეთეთ...

ეგნატეს ნაწერები უნდა გამოცემულიყო დაჩქარებით და ხალხისთვის ხელ აურელ ფასებში. ამაზედაც ბევრი ვილაპარაკეთ და, ბოლოს, გადავწყვიტე, მე გამოძეცა და განვაცხადე:

— „შეკრიბეთ მთელი ნაწერები, ბიოგრაფია, კრიტიკული გარჩევა, რედაქცია თქვენ იკისრეთ და ერთ გამოცემაზე 2000 წიგნში 1000 მანეთს დავდებ, ეგნატეს ბიძაშვილის ასასახდელათ, რომელიც ძალიან სწყუროდ ეგნატეს მეთქი".

ა, წულაძემ საუზმე-ზე სიტყვით დაინახა: „მთელმა ამხანაგებმა გამოვცეთ და გავავრცელოთ კიდეცო."

აზრი უკეთესი იყო და ყველანი დავთანხმდით. ფიცის შემდეგ ყველანი ავდექით—ისითკენ გავეშურეთ, საიდანაც მოვსულიყავით.

ერთმა გონიერმა სთქვა: „სახელოვან კაცს სიკვდილის შემდეგაც შეუძლიან სარგებლობის მოტანაო".

ეს აზრი ეგ. ნინოშვილის სიკვდილმაც გაამართლა, განსაკუთრებით გურიაში.

**კ. თავართქილაძე.**

## ქართველი მწერლები




სეზმან ერთაწმინდელი

# დავიწყებული პოეტის საფლავი

(მოგონება)

1903 წ. პეტერბურგს (ლენინგრადს) ახალი ჩასული ვიყავ და იქაურ ქართველობას არ ვცნობდი.

ერთ უქმე დღეს, ქუჩაში ხეტიალის დროს, შემხვდა ერთი ნაცნობი ასოთ-აწყობი მიხეილ გერასიმოვი.

— იცით, რომ ვოლკოვის სასაფლაოზე ქართველი პოეტია დასაფლავებული?—მკითხა მან.

— ქართველი პოეტი? რა გვარია?—შევეკითხე მე და ვერაფერი გამეგო, თუ რომელი ქართველი პოეტი უნდა ყოფილიყო.

— გვარი არ მახსოვს,—მითხრა გერასიმოვმა და ეცადა მოეგონა, მაგრამ ვერ გაიხსენა.

მე ვთხოვე წამომყოლოდა ვოლკოვის სასაფლაოზე და ეჩვენებინა ის ადგილი, სადაც პოეტის საფლავი იყო, რაზედაც გერასიმოვი სიამოვნებით დამეთანხმა.

ნახევარ საათში ჩვენ უკვე სასაფლაოზე ვიყავით.

ეხლა კი გავიგე, ვინც იყო.

ცნობილი მწერლის მიხ ილოვსკის მდიდარი ძეგლით შემკულ საფლავის გვერდზე იყო ღარიბი საფლავი, რომელზედაც აღმართულ უბრალო ხის ჯვარზე ეწერა: **„ქართველი პოეტი გრიგოლ აბაშიძე“**.

„საწყალი გრიშა!“—გავიფიქრე მწარედ და რამდენიმე წუთი დაფიქრებული დავცქეროდი ობოლ სამარეს...

იწვა წყნარად უცხო მიწაში უცხო მკვდართ შორის...

მისს სამშობლოს სიყვარულით აღგზნებულს გულს სჭამდა უცხო, არა-მშობელი მიწა.

ვიღაც თანამამულეს, მისი სიკვდილით გულნატკენს, ჯვარზე ფანქრით მიეწერა: „Спи, поэт, вечно цветущей Грузии!“

და მასაც ეძინა...

ეძინა ზამთარ-ზაფხულ ვარდ-ყვავილებით შემკულ საქართველოს პოეტს არა სამშობლოში, არამედ შორს, შორს თავის სამშობლოდან, თოვლიან-ყინულიან მკაცრ ჩრდილოეთში.

ასეთი ბედი ეწვია სიკვდილის შემდეგ იმ პოეტს, რომელიც სიცოცხლეში თავისს სამშობლოს, თავის საყვარელ ერს, მგზნებარე გულით უმღერდა მგზნებარე ლექსებს და ხოტბას ასხავდა მას.

ერთხანად პრესაში ლაპარაკი იყო გრიგოლ აბაშიძის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენება-დასაფლავების შესახებ, მაგრამ ამ ლაპარაკიდან არაფერი გამოვიდა.

დიდი ხანია გრიგოლის საფლავი აღარ მინახავს. მე ეხლა წარმოდგენილი მაქვს ასეთი სურათი: ჯვარი დამპალი, წარწერა გამქრალი, საფლავი მიწასთან გასწორებული, დაკარგული... მაგრამ მისი პოვნა ძლიერ ადვილია.

თუ ეს ასეა, თუ ჩემი წარმოდგენა მართალია, ქართველი ერი მოვალეა იზრუნოს თავისი პოეტის ბედზე და სამშობლოში გადმოსვენება თუ არა, ადგილობრივ მაინც დაადგას ძეგლი, რათა მისი საფლავი უზრუნველი იყოს დაკარგვისაგან.

**მუშა ნიკო ახლამაზიშვილი.**

# ახალი სამუსიკო პიესები

— **პეტრე მირიანიშვილმა** დასწერა ლიბრეტო „ნესტან და ტარიელ“, „ვეფხის ტყაოსანის“ პოემის მიხედვით და რუსთველის ლექსით. ოპერა შეიცავს 4 მოქ. 7 სურათს და პროლოგს. მუსიკა ლეო ფალიაშვილის. მოწონებულია სამუსიკო რეცენზიით და იპოლიტოვ-ივანოვისაგ ნ. ოპერას სდგამს გამოცდილი რეჟისორი ალ. წუწუნავა. დაიდგმება სახელმწიფო ოპერის სცენაზე, კერძო თ ოსნობით.

მანვე დასწერა: „ისნის კარავი“, სამუსიკო პიესა, 5 სურათად. სიუჟეტად აღებულია მე XII ტე საუკ., ტფილისში ახლად გამეფებულ თამარ ქალწულის წინააღმდეგ რევოლიუციონური გამოსვლა ყუთლუ არსლან, მეჭურჭლეთ უხუცესისა. ხსენებული ყუთლუ-არსლან იყო ნაყოვ ჩაღარი და პატივ დიდების მოყვარეობით ჯარითურ მიეხრო დიდ გვარიშვილებს, რომელნიც მოითხოვდნენ ყველა დაწინაურებულ უგვარტომო მუშაკთა განძევებას. მათ შორის იყვნენ განსაკუთრებით აუგ ლწუნებული ვეზირები: ყუბასარ და აფრიდონ, ჯერ კიდევ გიორგის (თამარის მამის) დროს დაწინაურებულნი, როგორც დაბმნას ამბოხების ჩამქრობელნი. მათ განიძრახეს ისანში (ავლაბარში), სადაც პოლიტიკური ცხოვრება დუღდა, კარვის დადგმა „საგოდებლის“ სანახებს შორის, სადაც ყოველგვარი სახელმწიფო საქმე უნდა გაერჩიათ, გადაეწყვიტათ და დადგენილებანი თამარისათვის გაეგზავნათ ასასრულებლად.

ამის მოთავე ყუთლუ-არსლანი შეპყრობილი იქნა მაგრამ ჯარი, რომელიც იცავდა მის ინტერესებს, სასახლეს გარს შემოერტყა და მოითხოვა ყუთლუ განთავისუფლება. საქმე აჯანყებულთა ზოგიერთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით დასრულდა. თამარმა გაუგზავნა მათ მოციქულებათ ორი საპატიო ქალი, დიპლომატიური მინდობილობით.

მათ განუცხადეს ჯარს ახალი წესრიგის შემოღებისა და ვეზირების არჩევის შესახებ წარჩინებულთა წრიდან, რისი უფლებაც დარჩათ დიდგვარიანებს, ხოლო მათი დამტკიცება იყო მეფის ხელთ.

პიესა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ის ამსახავია მაშინდელ დიდგვარიანთა რევოლიუციონურ სულის მატარებლობისა.

დაწერილია მხატვრულად და ლამაზად გამოყენებულია ბევრი ტრადიციული მშვენებანი ჩვენის ერის.

# სად რა კეთდება? ვინ რას აკეთებს?

## ქ. თელავის მუშათა კლუბი

ცუდ საქციელს და ლაზლანდარობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს მუშათა კლუბში. მუშათა კლუბი მუშამოსამსახურეთა დასასვენებელი საერთო ოჯახია, სადაც მიდის შრომისგან მოქანცული ადამიანი, რათა მიიღოს გონებრივი განვითარება თავის მოწინავე ამხანაგებისაგან—გამართულ წარმოდგენებით, ლექციებით, საუბრებით და სხვ. ესეთი გასართობები და კულტმუშაობა უნდა იყოს შინაარსიანი, რომ იქ მისვლელი სრული კმაყოფილებით და სიამოვნებით ბრუნდებოდეს სახლში, რომ მეორე დღეს დასვენებული ენერგიით შეუდგეს შრომის ნაყოფიერების ქვაბის წევას; სამწუხაროდ ეს ასე არის თელავის მუშათა კლუბში; აქ ერთი ხანია ფეხი მოუკიდნია უბრალო ლაზლანდარობას და ცუდ ყოფაქცევას, რასაც მთლიანად ჩამოუშორებია პროფ-კავშირის წევრთა უმეტესობა. „რიგიანი კაცი კლუბში არ შევა“-ო, გაიგონებთ ხშირად. კლუბის გამგეობის თავმჯდომარე ვინმე მ. ხე-ძე, ყოველთვის მასხრობის და ოხუნჯობის გუნებაზეა და აი ეს იყო დღემდის ავან-ჩავანი კულტურული მუშაობისა. ცნობისმოყვარეობით დავესწარ რამდენჯერმე მის მიერ გამართულ საღამოებზე და მართლაც აქ უბრალო ლაზლანდარობის მეტი ვერა ვნახე რა.

1-ლ დეკემბერს მოხდა კლუბის საზოგადო კრება, ამ კრებაზე გამოვიდა ჩვენი ოხუნჯობის გმირი მ. ხე-ძე—მოხსენებით. მოხსენებაზე და ანგარიშზე არაფერს ვიტყვი, რადგან საანგარიშო არაფერი ჰქონდა, თუმცა ძალიან სცდილობდა აბლაკატური ხრიკებით უხეირო საქმის კარგათ მოჩვენებას

როდესაც მას შეეკითხნენ ხალხი რატომ არ დადიოდა კლუბში ან წევრებათ რატომ არ ეწერებოდნენო, მან აქაც თავისი თავ წასული საქციელით შეურაცყოფა მიაყენა საზოგადოებას: „თქვენ ისე ხომ არ გინდათ, როგორც ქალაქში ბადეები რომ დააქვთ, იჭერენ და ნავთლუღში ერეკებიანო“: ასეთმა პასუხმა დიდი მღელვარება გამოიწვია საზოგადოებაში, რის შემდეგაც თავმჯდომარემ ბოდიში მოახდევინა.

ყრილობამ, სადაც უმეტესობა პროფკავშირების წევრები იყვნენ, საკლუბო მუშაობა დააკისრა პროფკავშირებთან არსებულ კულტკომისიას.

მეთვალყურე.

## ჩვენი კინო



ვანო სარაჯიშვილი—იაგო—„მამის მკვლელი“

# სათეატრო მიმოხილვა

**ქართული დრამის.** ამხანაგობამ წითელარმიელთა თეატრში 6 დეკემბერს წარმოადგინა „გუშინდელნი“. ეს არის ე. წ. ზნე-ჩვეულების პიესა, სადაც უმთავრესია ტიპების და მათ ზნე-ჩვეულების ასახვა. შესრულება საუცხოვო. როლების და მიზანსცენების ცოდნა, დისციპლინა და წესიერება სცენაზე, ნათლად მოწმობენ რეჟისორის და მსახიობების გულმოდგინე საქმიანობას.

გელოვანი შეუდარებელი იმერელი „თავადი“, მკვირცხლი, ცინრუტი, მითომ მოსაქმე, ჩხუბშიც და ლხინშიც პირველი. ანეტა ქიქოძე, საუცხოვო „კნეინა“, თავბრუდამსხმელი, ბევრის დამპირებელი და შემსრულებელი. ალისა ქიქოძე მგრძნობიარე, დრამატიზმამდე აღმწევი გასათხოვარი ქალიშვილი ფაცია. ტასო აბაშიძე, სოფლის ფოფოდია, სოფლურ-ქალაქურ მოდაზე გამოწყობილი, თავისებურად ამხიარულებდა და აცხოველებდა სცენას და დარბაზს. ფრონისპირელი (მაზრის უფროსი) ჩინებულად და ცოცხლად ჩაატარა თავისი პასუხსაგები როლი. ბალანჩივაძე (მამასახლისი) ყველაფრით კარგი, გარდა შეუფერებელ გრიმის და ტანისამოსის. გომელაური ტემპერამენტით საესე ახალგაზრდა, დიდ იმედებს იძლევა. დანარჩენები ხელს უწყობდნენ საერთო თამაშს, გარდა „ხალხისა“, რომელსაც აკლდა მოძრაობა და სიცოცხლე.

ინგ.

**პლეხანოვის კლუბში** კვირას 14 დეკემბერს კლ. არს. მუშ ქართ დასის მიერ ა ლითანიშვილის რეჟისორობით დაიდგა 3 მოქ. პიესა „ცოდვა“, შ. გომართლის თარგმანით. ა. ლითანიშვილი ენერგიული მუშაკია, ამ დადგმაშიც ეჩანდა მისი ხელი. სცენის მუშაკისათვის საჭიროა ერთი მთავარიც: გაბძლეობა, ხალისი, ენერგია. მასში კი ყველა ეს არის. კარგი იქნება მიღებულ იქნას შემდეგი რამ: ყოველ ახალ დადგმას ჩამოეცალოს მოძველებული სახე, გარეგნობა, და მიეცეს ახალახალი შტრიხები. ერთ მთავარ როლთაგანს (მარია ანდრეევნა) ჩინონი ასრულებდა. თითქოს ეს როლი მისთვისაა შექმნილიო. ძლიერი განსახიერება იყო თვალთ-მაქც და სინიდისით მქენჯნავ პროვოკატორის. ყოველი ხაზი მისი მოქმედების მსახიობის უტყუარ სახეს გვაძლევდა. ს. რომანიშვილ-დგებუაძისას (ელენე კარპოვნა) ხედავ და სიხარულით ივსები: მუდამ ხალისიანი, ცოცხალი, როლი დაძლეული, ამ როლშიც თავისებური იყო. ა. ლითანიშვილმა—(ჟანდარმი სტალინსკი) კარგად ჩაატარა. მას ყოველთვის სდევს როლის შეგრძნობა, ყოველი მისი ხაზი ჭეშმარიტი და მაგარი იყო. ვ. ნინიძემ (მიხაილ სურდიუკ) ჩვეულებრივად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. იგი როლში ყოველთვის ძლიერია. პავლიაშვილი—(სოკოლოვ) ჩვენი სახალხო სცენისათვის კარგი ძალაა. მუდამ ეტყობა როლის სწორი განსახიერების ცდა. გულმავიწყობა აიცილოს, მეორე მოქ ეს შეეტყო. დემეტრაშვილის მიერ (მეეზოვე) სწორი სახით იყო მოცემული. ალ. თოთაძე—(ივ. ჩებოტარი) კარგი იყო, მეტადრე მესამე მოქმედებაში. გრიმი სუსტობდა. ამას ყოველთვის დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ყოველმა მსახიობმა თუ სცენისმოყვარემ. მე მინდა მას ყოველთვის გამართლებულს ვუცქეროდე, ეს შეუძლიან. პაპელაშვილში—(პეტრე ივანოვი) არის სიცოცხლე და ძარღვი, რომელიც საჭიროა სცენისათვის. საჭიროა, მან იმუშაოს, იგი სახალხო სცენაზე კარგ ადგილს დაიჭერს. ოდნავ მაინც როლის გაშარჟებას ერიდოს. დანარჩენნი, საერთო ანსამბლს ხელს უწყობდნენ. ზოგიერთ სცენის მოყვარის საყურ. 1) რეჟისორის „შეკვეთა“ უნდა შესრულდეს, სცენაზე კი არ გამოჩნდეს „შეკვეთა“. „შეკვეთით“ გავლა, მობრუნება, სიცილი და სხვ. ძალზე ცუდ შთაბეჭდილებას დასტოვებს. 2) საჭიროა მუდამ იმედით გამაგრება, საჭიროა, მართალია, „მე“-ს დავიწყება, დავიწყება აუდიტორიისაც (თუმცა მას ანგარიში ეწევა) მაგრამ როლის შეგრძნობა, როლის შეთვისება, როლში შეჭრა, როლში გამაგრება და გამართვა აუცილებელია.

**შ.**

— —

**ავლაბრის მუშათა კლუბში** ძველ სცენის მოყვარეთა ქართულმა დასმა, სამი-ოთხი წარმოდგენის გამართვის შემდეგ წარმოდგენების მართვას თავი მიანება. კლუბის გამგეობა ახლა თვითონ იწვევს ხოლმე ცალკ-ცალკე ქართველ მსახიობებს და მართავს უფრო მწყობრ წარმოდგენებს. ამ ერთ თვეში დაიდგა: 1) „კინტო“ და 2) ვ. აბაშიძის, ე. ჩერქეზიშვილის, ქივიძის და სხ. მსახიობთა მონაწილეობით: „ხანუმა“. ამზადებენ შილლერის „ყაჩაღებს“.

**ავლაბრელი.**

— —

**ორთაჭალის ტყავ ტრესტის მუშათა კლუბში** 7 დეკემბერს ადგ. ქართულ დრამატიულ წრის მიერ, ვასო პატარაიას რეჟისორობით და მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნა ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ დრ. 4 მოქ. ე. კულულაშვილმა სრულიად და მხატვრულად მოგვცა სიყვარულით და ლამაზ იდიალებით სავსე კოლიას ტიპი. ე. შათირიშვილმა მიშას როლი შეასრულა მშვენივრად. საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ მას ნიჭი აქვს სასცენო ასპარეზზე მუშაობისა, მხოლოდ აქ უნდა აღვნიშნო მისი ერთი ნაკლი, რომელიც ჩვეულებად გახდომია. ეს ისაა, რომ იგი უალაგო-ალაგას, ყოველ სიტყვის თავ-ბოლოში უმატებს: „ა?“, რაიც ხანდახან ძლიერ ხელს უშლის პიესის შინაარსს. ვ. პატარაია (გრიშა) როლში იყო შესული.

ონუფრეს როლში ილ. ასათიანი კარგი იყო, მხოლოდ ხანდახან მიმიკას აძლიერებდა და საზღვარს გადადიოდა. მარო ასათიანისას (ოლია) წრეში ცალი არ ჰყავს ტრაღიკულ როლებში, ქალ. მარქაროვმა (ოლიას დედა) თავის მშვენიერ და ტიპიურ თამაშით დიდი ყურადღება დაიმსახურა საზოგადოებისა. არა უჭირდათ-რა აგრეთვე ვარა ჯორჯიაშვილს, ჩაჩანიძეს, გ. ჟუჟუნაშვილს, ს. აუშტოვს, ს. ბაიდაშვილს, ა. ჩახმახსაზოვს და სხ. გრიმები, ტანთსაცმელები და რეკვიზიტი კარგი იყო, ხოლო დეკორაციები სრულიად შეუფერებელი. ანტრაქტების დროს უკრავდა ევროპიული მუსიკა, ვ. დ. სულხანიშვილის ლოტბარობით. წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე, რომელიც ფრიად ნასიამოვნები დაიშალა პირველ საათზე.

**სურენ ავჩიანი.**

— —

**ლადო სუხიშვილის** სახელობის კლუბში ილია სუხიშვილმა (ჯერ 16—17 წ. ახალგაზრდაა), მოცეკვავეთა გუნდით კონცერტი გამართა. იგი 2 წ. სწავლობდა საცეკვაო სტუდიაში. სტუდიის დამთავრებისთანავე კონცერტების მართვა დაიწყო კლუბებში და თავიც ისახელა. კარგი ცეკვისთვის მიღებული აქვს მრავალი საჩუქარი (პარიზი).

ცეკვის დაწყებამდე ერთმა ახალგაზრდამ დამსწრეთ გააცნო ილიას საცეკვაო საქმიანობა. პირველი: ბალეტური ლეკური“ შეასრულეს ქალებმა რ. მინდიაშვილმა, საგანელიძემ, ნაზგაიძემ; ვაჟებმა: ილ. სუხიშვილმა, მაისურაძემ, პაიტიანცმა. ილია სულხანიშვილმა უნარი და გრძნობა გამოიჩინა. საუცხოვოდ შეასრულეს „ნაურსკი“ ქ. მაჟალოვაშვილმა და ვერა ყუფარაძემ.

მეორე განყოფილების „რომაული ცეკვა“-ში ფარიკაობით მთავარსარდლის როლს ასრულებდა ილია სუხიშვილი, მეომარნი—მაისურაძე, პაიტიანცი სამივემ მხატვრული სურათი მოგვცა. ვერა ყუფარაძემ მშვენივრად შეასრულა „ადერბეიჯანი“. დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ანასტასია სუხიშვილმა „ოსური ცეკვის“ შესრულებით.

ბოლოს ილია სუხიშვილმა შეასრულა ხანჯლებით „შამილია“ ლოცვების ფიგურით და „შამილია“ უხანჯლოთ.

დასასრულ დარბაზში გაიმართა ევროპიული და ჩვენებური ცეკვა, მაგრამ ზოგიერთა უხამსი პირის წყალობით ამ ნაწილმა კარგად ვერ ჩაიარა.

**ა. კოჩლაშვილი.**

**ქუთაისის** რკინის გზ. მუშ თა კლუბ „ხელოვნებაში", კვირას, 30 ნოემბერს, წარმოდგენილ იქნა პირველად, მურუ იძის რეჟ სორობით, „ჯალათი" 5 მოქ. ს. რემონიძის მოთხრობიდან, კ. თავბერიძ ს მიერ გადმოკეთებული.

შ ნაარსი პიე ისა აღებულია გურიის ცხოვრებიდან 1914—17 წლ. იმპერიალი ტურ ომის დროს. პიესაში გატარებულია: ომის შეუბრ ლებლობ , მეფის ქვეშ ვრდომ გენერლების, ოფიცრები ა და სხვა მოხელეთა სისასტიკეთავნებობა, რომელთა წყალობით არა ერთი და ორი ახალგაზრდა შეეწირა მსხვერპლად მეფის სამსახურს... პიესაში დახასიათებულია, თითეული ჯარის კაცის განცდა, მათი ზიზღი მე ის რეჟიმის მიმართ. თავბერიძე, ეტყობა, ღრმათ ჩასწვდომია მოთხრობის მნიშვნელოვან შინაარს; გადმოკ თებულია მოხდენილად.

ამ საღამოს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდნენ თავისი მოხდენილი თამაშობით:

კ. დოლიძე, მ. ხომასურიძე, თ. რამიშვილი, კ. თავბერიძე (თვით ავტორი), სახელაშვილი.

პიესამ თავისი შინაარსით იშვიათი შთაბეჭდილება დასტოვა. სასურველია ეს პიესა პროვინციის მუ ათა თე ტრებს მოეფ ნებოდეს. **ლა—ლი.**

— —

**სოფ. ახალ-სოფელში** (ძველი გავაზი) შემდგარია დრამატიული წრე. ჰყ ვს გა გეობა, თავმჯდომარეობს ამავე სოფ სკოლის გამგე ამხ თელია გ მგეობის წევრები: სოფლის ალმასკომის თავმჯდომარე ალ. ჰაბაშვილი და ექიმის თანაშ მწე ვასო ხარიტონაშვილი, რომ ლიც ხელმძღვანელობს სცენის მოყვარეთა წრეს. წრეში მონაწილეობენ: მარო ფხოველაშვილი-ლომიძისა, ელენე ჩიკვაიძე, ანნა ჯავახიშვილი, ელენე ჩიკვ იძე-თავბერიძის, სოფო გურგენიძე, იოსებ დი იტრაშვილი, ხატო ონოფრიშვილი, გერვასი თავბერიძე, არჩილ ზარდიაშვილი და სხ ამ უკ ნასკნელ თვეში დაიდგა: „ფული და ხარისხი", „სულის მ მა", „ჯერ დაიხოცენ—მერე იქორწინეს", „ჭკუისა მკ რს". ხალხი დიდი სიამოვნებით ესწრობოდა. ბოლო დროს სიცივის გამო შესწყდა. სათეატრო დარბაზი არა თბება. საჭიროა ყურადღება მიექცეს, რომ სახალხო სახლიც განათდეს ელექტრონით, როგორც სხვა დაწესებულებანი, თორემ უშინათლობით წარმოდგენების დადგმა ძნელდება. **ნინი-ხატო.**

— —

**საბურთალოს** ტროც კის სახელობის სახალხო სახლში ადგილობრივი მკვიდრთაგან (უმთავრესად მუშა ხელოსანთაგან) შემდგარია დრამატიული წრე, ივანე ბუთლიაშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი დაიწყო 19 ოქტომ. გ. ერისთავის „ძუნწი" თ და ერთაწმინდელის „რევოლიუციონერი" თ. წარმოდგენები იმართება ყოველკვირა. მთავარ ი მონაწილენი—ნ. ზუმბაძე, მ. ჩიქოვანი, ვლ. მაჭავარიანი, ლ. მელქონიანი, ფ. გვ ლია, ქ ნი: ნ. ჯალაღაშვილი, ც. მურმანიძე, ვ. ჩარჩინცი და სხ. მოკარნახე ვ. გი რგობი ნი. დროგამოშვებ თ იწვევ ნ მსახ ობთ, მოწვეულთაგან აქ მონაწილეობა მიიღეს: ქეთო ანდრონიკაშვილმა, ნიკო გოცირიძემ, ალ. ჩერქეზიშვილმა, ანკარამ, ფორისაპ რელმა, გუგ შვილმა, ვარდოშვილმა და სხვ. თვეში ორჯერ იმართება პოპულიარული უფასო ლექციები. დარბაზში 200-მდე ეტევა. თითქმის ყოველთვის სავსეა ეს კლუბი ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების გამგებლობაშია. საჭიროა ნივთიერი დახმარება, რადგანაც კლუბი მოწყობილობით ღარიბია. **საბ ლი.**

— —

**ახალციხეში** შესდგა დრამატიული წრე, რომელიც ყოველ შაბათს ძველ-ქალაქში წარმოდგენებს მართავს.

—

**გორში** ამჟამად მუშაობს ორი დასი: ერთი სამხედრო ლეგიონში—თანგიზ ჟღენტის სახელობის კლუბში ალ. ჯაყელის რეჟისორობა ხელმძღვანელობით, მეორე—მუშათა კლუბში დ. აბდუშელიშვილის ხელმძღვანელობით. ორივე თეატრში ყოველ შაბათ-კვირაობით იმართება წარმოდგენაბი. მუშათა კლუბი ახალი დეკორაციებით კარგად არის მ წყობილი. ორივე დასში შედიან ადგილობრ ვი ძალები. უფრო მეტი ხალხი მუშათა კლუბს ეტანება. **ლია.**

— —

**ქ. ახალციხის** ძველს ნაწილში (რაბათში) ქართულ სკოლის შენობაში რაბათის დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილ იქნა „საებ დური დეპიუტი", ვოდ 1 მოქ. და „საცოლე ერთი საათით". ქალ. კულგინამ ამ საუცხოვოდ შეასრულა ლიდიას როლი. იგი ჯერ სრულიად ახალგაზრდაა ვუსურვებთ წინსვლას.

ლაზათიანია ვალოდიას (გიმ აზიელის) როლში სოსო თარხნიშვ ლი. გამოთქმაში მოიკოჭლებს: საჭიროა ამ ნაკლის აცილება. კარგი იყო შაქროს როლშიც („საცოლე ერთი საათით") მოხდენით შე სრულეს: დავითის როლი ი. ხუხუნაშვილმა, ლიზასი—ქალ. ზედგინ ძ მ, პირფილესი (იმერელი)—მაზნეველ შვილმა, ქ. თათენაშვილმა—სიკო, ჯვარიძე—ნიკოშვილმა.

რეჟისორობდა პიშნელი, მოკარნახე—მესხი.

**პავ. გურგენიძე.**

# წვრილი ამბები

## დრამატურგია.

**ახალი პიესა** „უკვდავება" დასწერა არ. ლუკაშვილმა. პიესაში საკაცობრიო სულისკვეთებაა გამოხატული. შეიცავს 4 მოქ. უკვე მოწონებულია. დაიდგმის ქუთაისის სც ნახე და ტფ. ქართული დრ მის ამხ—ბის მიერ საოპერო თეატრში.

**მ ქილარჯიშვილმა** გადმოთარგმნა სკრიბის პიესა „ქ ლთა ბრძოლა", კომ. 3 მოქ.

## მწიგნობრობა.

**რაჟ კალაძის** რედაქტორობით იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა „ქართული ლიტერატურული ქრისტომატია", მასწავლებელ ა ჯგუფის—ვ. ხუროძის და სხ. მონ წილეობით. გამოცემა სახელგამისა.

**ახალი წიგნები** მივიღეთ: 1. არ. ჯაჯანაშვილი—თხზულებანი, რომელშიაც დაბეჭდილია მოთხრობები „ყვითელი ფურცლები" და პიესები: „ქანდაკება", „დანგრეული კოშკი" და „გაწყვეტილი სიმი"—230 გვ. 1 მ. 50 კ., 2) ნ. ზომლეთელი ლექსები 1917—23 წ. 190 გვ. 1 მან., 3) გალაქტიონ ტაბიძე—„ჯონ რიდი", 32 გვ. 1 მან.

**მიმქრალის** საბავშვო ნაწერების კრებული გამოვიდა.

**ონოფრეს ქორწინება,** კომ. 1 მოქ. კოლა გულიაშვილისა გამოვიდა.

## კ ი ნ ო

**ახალი კინო-თეატრი „აისი“.** ამ დღეებში ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პირველ დარბაზში (გრიბოედოვის ქ.), გაიხსნება ახალი კინო: „აისი“, რომელსაც ხელმძღვანელობს ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება. წინასწარი სამზადისი უკვე დასრულებულია. შეძენილია კინო-აპარატი და საუკეთესო სურათები. შეუდგენ კონსერვატორიის დარბაზის კეთილმოწყობას. კინოში დაუკრავს ახ. მუს. საზოგადოების ორკესტრი, შემდგარი 15 კაცისაგან.

## სხვადასხვა

**ეგ. ნინოშვილის თხზულებათა** ახალი დასურათებული გამოცემის პირველი ტომი ამ დღეებში გამოვა. დართული აქვს საგანგებო ლექსიკონი. გამოცემა სახელგამისა. მეორე ტომიც მალე გამოიცემა.

**სახელგამი** შეუდგა ალ. წულუკიძის ნაწერების გამოცემის საქმეს. მასალის შეკრება-შერჩევა მინდობილი აქვს რაჟ კალაძეს.

**მისაბაძი მაგალით:** გ. ი. ჩხუბიანიშვილმა **ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“** თავისი ხარჯით გაუწერა სოფლებს: 1) გულგულას—ვანო კოლელიშვილის სახელზე, 2) იყალთოს—სამკითხველოსთვის ალმასკომის სახელზე, 3) რუისპირს სამკითხველოსთვის და 4) თელავის სამკითხველოს.

**ქალთა ლიტერატურული ჯგუფი.** დაარსდა ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციასთან, რომლის მიზანია სალიტერატურო საკითხების გარკვევა, უცხოეთისა და სამშობლოს მწიგნობრობის შესწავლა.

**რედაქციისაგან,** ამით ვაცხადებთ, რომ № მე-19 (22) იუმორისტულ განყოფილებაში დაბეჭდილი გასართობი ნიორის ხელმოწერით, თუმცა სახუმარო შინაარსისაა, გაშვებულია კოლეგიის განუხილავად. მსგავს შემთხვევას მომავალში ადგილი აღარ ექნება.

**ვანო სარაჯიშვილის** გარდაცვალების გამო მივიღეთ სამგლოვიარო წერილები, რომლებიც დაგვიანების მიზეზით ვერ დაიბეჭდება.

**შეცდომის გასწორება.** წინა № ში იუმორისტულ განყ. გასართობს შეცდომით აწერია ნიორი.

**ქართველ ახალგაზრდა ხელოვანთა სალამო-გამოფენა** გაიმართება დღეს, კვირას 28 დეკემბერს, სახელმწიფო I კონსერვატორიის დარბაზში. მონაწილეობენ: პოეტები, მუსიკოსები-მომღერლები, მსახიობები, მხატვრები—მოქანდაკეები.

**ქართული დრამის** მსახიობთა ამხანაგობამ საოპერო თეატრში 24 დეკ' წარმოადგინა „სპარტაკი“. დაესწრო დიდძალი საზოგადოება. მსახიობნი და რეჟისორნი მხურვალე ტაშით დაჯილდოვეს. დაწვრილებით შემდეგ.

**ძუკუ ლოლუას ყოფ.** ხალხურ მომღერალთა გუნდმა კიწი გეგეჭკორისა და კირილე პაჭკორიას თაოსნობით პლეხანოვის თეატრში (ნაძალადევში) 23 დეკ. კონცერტი გამართა, ხალხი ბლომად დაესწრო და მხურვალედ შეეგება ხალხურ სიმღერებს. ვრცლად შემდეგ.

ხელმძღვანელი: **კოლეგია.**
რედაქტორ-გამომცემელი: **იოსებ იმედაშვილი.**

ქართული კლუბი

სამშაბათს, 30 დეკემბერს, 1924 წელს გაიმართება სახალხო მუშა პოეტის

ეთიმ-გურჯის

სალამო-წარმოდგენა

I

ქართული დრამის მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება

„ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“

კომ. 2 მოქმ. რ. ერისთავისა

II

მუსიკალურ-ლიტერატურული განყოფილება

მონაწილეობენ: **მუშა-მგოსნები,** სახელ. ოპერის მომღერალი **ლ. კავსაძე,** ბალეტის მოცეკვავე **ალბერტი,** ცნობილი ფიანურის დამკვრელი **ალ. ოლანეზაშვილი,** დუდუკზედ მომღერალნი **ბაგრატა, გ. შულავრელი** და ცნობილი მედუდუკენი: **სერგო ვახტანგოვი და გ. ეგანოვი.**

**დასაწყისი 9 საათზედ.** სალამოს გამგე **დ. ალშიბაია.**

ექიმი

ა. დ. ალექსიძე

(ტრიმჩევის ქ. № 10)

მეანობა და ქალთა ავადმყოფობა

იღებს ავადმყოფებს სალამოობით 4—7 ს.-მდე (სამშაბათის გარდა). 10—1

ფოტოგრაფია ევ. ქვანიასი

(რუსთველის პრ. № 8, „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციის გვერდით, ეზოში, მუშათა სასახლის პირდაპირ)

ასრულებს ყოველგვარ

საფოტოგრაფიო სამუშაოს

სუფთად,

ხელოვნურად,

სწრაფად.

8—5

სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი საშა წულ. ქ. № 4. ტირაჟი 1500 ც. | მთავლიტი № 2252.